


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინდ ბეჭდვები სიფყვას, ცყუილებით და ქაბებით ბუბთის გაფანა ყველა უჯადბინდბაჟ უსამბაგლესია.

შაბათი, 13 მაისი. 2017 წ. №97 (8234), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge


ფასი 50 თეთრი.



**აღმოსავლეთი
თუ დასავლეთი
ევროპელები
პართ თუ
აზიელები?**



**აიკრძლება
უსსოეთიდან
დაფინანსებული
NGO?!**




**მერაბ ხაჩიძე: გვეუბლება მაშინ,
როცა ხელისუფლებას ხალხის
შიში და მოჩილება ექნება!**



**კავკასიაში კონფლიქტის განახლების
აღბათობა იზრდება**

**ზურაბ პოლოლიკაშვილი
მსოფლიო ტურიზმის
ორგანიზაციის
ხელმძღვანელი გახდა**

**სირქარე, სიმთვრალე,
ზოლის
ბადაკვეთა
აპარატების
ბამონევევი
ქირითაღი
მიზეზებია**



**ონლაინ
კაზინოებისთვის
ახალი
რეგულაციები
ამოქმედდა**



2017 წლის 12 მაისს ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციისთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ზურაბ პოლოლიკაშვილი არჩეულ იქნა ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე 2018-2021 წლების ვადით.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს კანდიდატი არჩეულ იქნა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოზიციაზე. არჩევნები ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 105-ე სესიის ფარგლებში გაიმართა ქ. მადრიდში. ზურაბ პოლოლიკაშვილის კანდიდატურას საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.


საერთაშორისო ორგანიზაციის წამყვან მმართველ თანამდებობაზე საქართველოს კანდიდატურის არჩევა ხაზს უსვამს საქართველოს როლს და მის მისწრაფებას, წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მმართველობის განხორციელებაში. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მომდევნო გენერალური მდივნის თანამდებობაზე ზურაბ პოლოლიკაშვილის არჩევა ასევე წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას ტურიზმის სფეროში საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმებისა და მიღწევების კუთხით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრ-ქვეყანას მხარდაჭერისთვის, გულითადად ულოცავს ელჩ ზურაბ პოლოლიკაშვილს ამ გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს მისი ახალი, მნიშვნელოვანი მისიის განხორციელებისას!



გიორგი კვირიკაშვილმა ზურაბ პოლოლიკაშვილს გააჩუქა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განხორციელებული რეფორმებისა და მიღწევების კუთხით.

**გიუმ
ზარნაძე
85**

**ქართული სიტყვის
აღაღლო
ტრფიალო!**





პუტინისა და შუბინის უკუგადასვლა...

„ის ჩანაწერები, რომლებიც კონსტიტუციაში 2010 წელს გაკეთდა, პუტინისა და შუბინის უკუგადასვლა იყო“ – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით მათიკაშვილმა.

„საქართველო ან ნახევრად საპრეზიდენტო, ან საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო. შესაბამისად, ის ჩანაწერები, რომლებიც კონსტიტუციაში 2010 წელს გაკეთდა, პუტინისა და შუბინის უკუგადასვლა იყო და ამას ხაზს ვუსვამ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ისე არ მოხდა, როგორც დაგეგმილი იყო, მაგრამ კონსტიტუციაში ჩანაწერები გაკეთდა და დიდი აღრევა იყო პრეზიდენტის არჩევის წესსა და მის უფლებამოსილებას შორის. ისეთი ჩანაწერები იყო, რომლის შეცვლასაც წინა ხელისუფლებას ვენეციის კომისია სთხოვდა. იმ სახის რეგულაციების შემოღება ხდება, რომელიც ქვეყნის დემოკრატიის განვითარების სურვილს და პრინციპებს განსაზღვრავს. საპარლამენტო რესპუბლიკის გამოცდილება არ გვქონია, თუმცა იმის აღქმა რთული არ არის, ეს რა მიზანს ემსახურება. ჩვენი მიზანია, ქვეყნის სწრაფი და დემოკრატიული განვითარება“ – განაცხადა მათიკაშვილმა.



პროკავშირსა და ნატოს მხარს არ უჭერს იმ მიტინგის და ჭორების გამო, რომელსაც ანტიდასავლური მიერ პრეზიდენტი

ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ ევროკავშირსა და ნატოს მხარს არ უჭერს, ძირითადად, იმ მიტინგსა და ჭორებს ასახელებს, რომელიც ანტიდასავლური და დეზინფორმაციული კამპანიების მიერ ვრცელდება, – განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლორა თორნტონმა.



„მოსახლეობის უმეტესობა ამბობს, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა არსებობს, თუმცა ასე უმეტესად, შედარებით მაღალი განათლების მქონე ადამიანები და ქალაქის ტიპის დასახლებებში მყოფი ადამიანები მიიჩნევენ“ – განაცხადა ლორა თორნტონმა.

რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვას, თორნტონის თქმით, მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ნატოსა და აშშ-სთან თანამშრომლობა საქართველოს უსაფრთხოების გარანტორი იქნებოდა. ძალიან ბევრი კი, შიდა ფაქტორებს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ქვეყნის შიგნით დემოკრატიის გაძლიერებას ასახელებს.

„ისევე, როგორც სხვა კვლევებში, ამ კვლევაშიც ჩანს, რომ მნიშვნელოვანია მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობა, რომლებიც მარტივად შეიძლება მოექცნენ პროპაგანდის გავლენის ქვეშ“ – აღნიშნა ლორა თორნტონმა.

იკაბ ინაშვილი: ...ფარგაში ბავრი მოვლავალი დაუბრუნა ზის

„საბარტოველო არაფერი არ დააკლდება, 30-ით ნაკლები დეპუტატი თუ იქნება. იმ დარბაზში ისედაც ბევრი მოვლემარე დეპუტატი ზის“ – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა თელავში მიმდინარე კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო განხილვაზე. მან გადაუხადა მანდატების გამარჯვებულ პარტიაზე მიკუთვნების ინიციატივა გააპროტესტა და პარლამენტში დეპუტატი რაოდენობაზეც გაამახვილა ყურადღება.



„რეალობა წარმოიდგინეთ და ვთქვათ, არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტია 23 პროცენტს იღებს, ხოლო ბარტივგადასახულმა ორმა-სამმა პარტიამ 24 პროცენტი მიიღეს. გამოდის, რომ პირველ ადგილზე გასული პარტია ისე, რომ მათ

მოსახლეობის მეოთხედზე არ უჭერს მხარს, ანუ, ოთხ კაცში ერთი კაცი არ უჭერს მხარს, მთლიანად გადაუხადა მანდატებს იღებს. ამ მოცემულობის თანახმად, ოპოზიციამ 24 პროცენტი რომ აიღოს, სახელისუფლებო ძალამ 24 პროცენტი, გადასახანილებელი 53 პროცენტი დარჩება და გამარჯვებული პარტია მთლიანად 53 პროცენტს იღებს, რასაც დემოკრატიულ გადანაწილებას უწოდებენ და ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობას ისე იკავებენ, რომ სინამდვილეში ერთი კაცი არ უჭერს მხარს. საქმე პროცენტებში კი არ არის, სიმართლეშია.

გადასახანილებელი ხმები დარჩა? – ამ ხმებს ნურავინ აიღებს, პარლამენტის წევრთა რაოდენობა ცვალებადი იყოს, 150 წევრი ნუ იქნება, 120 დეპუტატი იყოს და საქართველოს არაფერი არ დააკლდება, 30-ით ნაკლები დეპუტატი თუ იქნება. იმ დარბაზში ისედაც ბევრი მოვლემარე დეპუტატი ზის“ – განაცხადა ინაშვილმა.

ბაქუბა მდინარე: თქვენი ორი მანდატი მითვისებულია?

„თქვენი ორი მანდატი მითვისებულია?“ – განაცხადა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მამუკა მდინარაძემ. მან ამ კითხვით ვიცე-სპიკერ ირმა ინაშვილს მიმართა, რომელმაც მანამდე გაუხანალებელი მანდატების მითვისებაზე ისაუბრა.

მდინარაძის თქმით, ოპონენტები ცდილობენ პოპულისტურად მიუდგნენ საკითხს და მხოლოდ ზედაპირულად წარმოაჩინონ საკამათო პრობლემები.

„ვალდებულ ვართ, იმ ბრალდებებს პასუხი გავცეთ, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ისმის. მართლაც, ჩვენს თავზე ვირგებთ თუ არა კონსტიტუციას და საარჩევნო სისტემას? ქალბატონო ირმა, პრაქტიკულად რამდენიმე დღეა, შეურაცხყოფასაც კი ვიტანთ. მგონი, წითელი ხაზები არ უნდა გადავკვეთოთ და ერთმანეთს რაღაცები არ უნდა დავაბრალოთ. კი ბატონო, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვით. ტყუილი და პოპულიზმი, როცა მოსახლეობას ვეუბნებით, რომ მითვისებული ხმებზე ვლაპარაკობთ. თქვენი ორი მანდატი მითვისებულია? თქვენ პროპორციულად ექვსი მანდატი არ გეკუთვნოდათ და ორი მანდატი მითვისებთ? რატომ წაიღეთ? – პირობითად ვამბობ, მაშინ, იმ ორმა ადამიანმა პარლამენტი დატოვოს და მითვისებული ხმები აღარ გეყენებთ. ევროპის ქვეყნებში მანდატები ევროპულმა კოლეგებმა მითვისეს? – ეს არის დათქმა, რომელიც მთელ მსოფლიოში არსებობს და გარკვეულ მიზნებს ისახავს. ეს სტაბილურობის მიზანია, რასაც ირონიულად მოიხსენებენ ხოლმე. ეს მიზანია იმის, რომ მუდმივი ქაოსი და კრიზისი არ იყოს და ქვეყანა ცუდი გზით არ წავიდეს. მეორე მხარე პლურალიზმია“ – მიმართა ინაშვილს მდინარაძემ.

„ვლანგვის დეტექტორი“ – რამდენია კომუნიკაციის პროვინული კომისიის ანაზღაურება?

„ვლანგვის დეტექტორი“ ახალ კვლევას აქვეყნებს, რომელიც კომუნიკაციის ეროვნულ კომისიაში კონკრეტულ პირებზე გაცემულ ანაზღაურებას ეხება. კვლევის მიხედვით, კომუნიკაციების ეროვნულ კომ



მისიაში ანაზღაურება ასე ნაწილდება: 1. ელისო ასანიძე 187 203 ლარი (16,6 ათასი ლარი); 2. მერაბ ქათამაძე 168 069 ლარი (14,000 ლარი); 3. გიორგი ფრუიძე 181 206 ლარი (15,000 ლარი); 4. კახა ბექაური 242 685 ლარი (20,2 ათასი ლარი); 5. ვახტანგ აბაშიძე 255 425 (21,2 ათასი ლარი).

„ვლანგვის დეტექტორს“, მაგალითად, ლატვიისა და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრების ანაზღაურება მოჰყავს და წერს, რომ ლატვიის პრემიერის ანაზღაურება 25 285 ევროა, სლოვაკეთის კი 45 127 ევრო.

ლუჟკოვი საქართველოში ისევ ჩამოვლი

მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი საქართველოში ჩამოსვლას ისევ აპირებს, როგორც მან „რია ნოვოსტის“ განუცხადა, საქართველოს სექტემბერში ისევ ენვევა და იმედი აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება „ველურ გადანაცვლებას“ არ მიიღებს.



„საერთოდ, ჩემს საყვარელ საქართველოში სექტემბერში კიდევ ერთხელ ვაპირებ ჩასვლას. დაპატიჟებული ვარ ჩემი ახლობელი ქართველის შვილიშვილის ქორწილში. მინდა, რომ მეუღლესთან, ოჯახთან ერთად ვნახო ქართული ქორწილი. ეს საინტერესოა, ეს ყოველთვის მასშტაბური და ლამაზია. თუკი ეს არ გამოვა საქართველოს ხელისუფლების ქმედებების გამო, ვფიქრობ, რომ დავიცდით – დავცდით სხვა დროებს, ისინი აუცილებლად იქნება და ასეთ ველურ გადანაცვლებებს, ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ხელმძღვანელობა არ მიიღებს და არც უნდა მიიღოს“ – განუცხადა „რია ნოვოსტის“ ლუჟკოვმა.

მოსკოვსა და ცხინვალის რეგიონს შორის საპენსიო უთანხმოება

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოსკოვსა და ე.წ ცხინვალის რეგიონს შორის საპენსიო უთანხმოება ამოქმედდა. დოკუმენტი ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

ე.წ. შეთანხმება, 2016 წლის 25 ნოემბერს გაფორმდა. ახლა კი, რუსეთის საგარეო უწყების ცნობით, მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა და რუსეთში სამხრეთ ოსეთის ე.წ. ელჩმა ზნაურ გასიევიმა შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს.

ცხინვალში პრემიერ-მინისტრი პირიქით




ცხინვალში დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი აირჩიეს. სააგენტო „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ერიკ ჭუხუავეის კანდიდატურას მხარი არაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის პრეზიდიუმმა დაუჭირა.

ჭუხავეის კანდიდატურა პარლამენტს ცხინვალის დე ფაქტო ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა 5 მაისს წარუდგინა.

ჯიოჯი დონბასელ საპარტისტო ლიდერებს სვლა

რუსეთში სამხრეთ ოსეთის მშვიდობისა და სტაბილურობის ერთადერთი გარანტია. ამის შესახებ დე ფაქტო დონეცკში სტუმრობისას არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურათ ჯიოჯიამ განაცხადა.



„რუსეთის ფედერაციასთან უკვე გაფორმებული გვაქვს 100-მდე სახელმწიფო და უწყებათაშორისი შეთანხმება. ჩვენთვის რუსეთი მშვიდობისა და სტაბილურობის ერთადერთი გარანტორია“ – აღნიშნა ჯიოჯიამ.

აიკრძალება უსსოთიდან დაფინანსებული NGO-ები!

პარლამენტში უცხოეთიდან დაფინანსებული NGO-ების აკრძალვის შესახებ ინიციატივა განიხილეს. ინიციატივა „საქართველოს დემოკრატიული საზოგადოება 21“-ის ხელმძღვანელს ზვიად ტომარაძეს ეკუთვნის. მან პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების აკრძალვის საკითხს ეხება.

„ნეტგაზეთის“ ინფორმაციით, „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, „სასამართლოს, საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე შეუძლია, აკრძალოს ის საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც უცხოეთის სახელმწიფოდან, უცხოური სამეწარმეო ან არასამეწარმეო ორგანიზაციიდან, ან უცხოელი მოქალაქისგან მიღებული გრანტის ფარგლებში ახორციელებს გრანტის გამცემის ინტერესებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ“.

ზვიად ტომარაძის განმარტებით, კანონპროექტის შემუშავების მიზნები საქართველოში მოქმედი ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაა.

„ხშირ შემთხვევაში, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები გამოხატავენ დამფინანსებელთა ინტერესებს, უპირისპირდებიან სახელმწიფო ინტერესებს, კონსერვატიულ საზოგადოებას, ტრადიციებს და ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს“, - აცხადებს ტომარაძე.

სიტყვით გამოსვლისას ტომარაძემ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ისაუბრა. მან ერთ-ერთ მაგალითად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დაასახელა, რომელმაც 2013 წელს პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოში დავა მოუგო და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვაზე დაწესებული მორატორიუმი გაუქმდა.

ტომარაძემ ასევე ამერიკელი ხალხის საჩუქარზე, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებზე“ ისაუბრა და აღნიშნა, რომ იქ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები ხორციელდება:

„არსებობს ასეთი ორგანიზაცია - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, რომლის ერთ-ერთი ოფისი მდებარეობს თელავში. მე მომანოვდეს ამ ოფისში გადაღებული ფოტოები. ამ ოფისში პირდაპირ არის გაკრული შემდეგი წარწერა: არ გათხოვდე, ქმარი მოძალადეა. ქვეყანაში არსებული დემოკრატიული კატასტროფის ფონზე, ეს არის თუ არა ანტი-სახელმწიფოებრივი ქმედება? მე მიმაჩნია, რომ არის“, - ამბობს ტომარაძე.



ახლა კარგად მომისინეთ, ქართველებო!

გვეშველება მაშინ, როცა ხელისუფლებას ხალხის შიში და მორიდება ექნება!

ახლა კარგად მომისინეთ, ქართველებო!

განსაკუთრებით კი, „ძვირფასო“ „ნაცებო“, „ნაცების“ მიმდევრებო და სამშობლოსთვის გულდათუთქულო, პოლიტიკურ „ვიგოდნიკებო“!

ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი და მთლიანად ენერგორესურსები, დარიალის ხეობასთან ერთად, რუსებს ჩააბარეს და მიჰყიდეს!

ნათელ სიდთან რამდენიმე ჰექტარი აზერბაიჯანს უფუქმაშეს!

თურქებს, ჩინელებს, არაბებს, ინდოელებს და დანარჩენებსაც, ისე ფართოდ გაუღეს კარი - უფრო სწორად, ისე მოლიტეს ქვეყნის ტიშკარი - რომ უკვე ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომელი დროზე უნდა ფრიალებდეს საქართველოს თავზე!

დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისიდან გაიტანეს!

სადაც თბილისის ლეგენდა დაიბადა, იმ ადგილს ჰეიდარ ალიევის სახელი დაარქვეს!

და ამის (და კიდევ ბევრი მსგავსის) მერე თურმე, ორი სულელი რუსის - ბაფთიანი „ბაიკერების“ საქციელმა და საქართველოში ნაცებისგან „ნაკურთხი“, 80 წლის ლუწკოვის „სტუმრობამ“ შეურაცხყო ვიდაცების „პატრიოტული გრძნობები“ და დაასამარა ქართული პოლიტიკის ბედ-ილ-

ბალი და მომავალი?!

...თუმცა, ნაცების და ასეთების კი არა, პირადად ჩემი და იმ ხალხის საქციელი მოცულობა და მალიზიანება, აქ ჩამოთვლილზე და ჩამოუთვლელზე, პასუხის მოთხოვნა რომ ამ ხელისუფლების იმედზე დავტოვებ!

S T O P!!!

...ახლა, მაინცდამაინც ისინი ნუ გამოსტებით და ნუ ამყვებთ, ჩემს ნათქვამში მხოლოდ სიტყვა „ხელისუფლებას“ რომ მოჰკარით თვალი და ყური!

ჯერ მე ვიტყვი!

ყველა ეს უბედურება „ნაცებმა“ ამ ხელისუფლების მოსვლამდე ჩაიდინეს და როცა არჩევნებით მოსული, წინამორბედისგან ჩადენილზე პასუხს არ

ითხოვს, ეს ნიშნავს, რომ მას ხალხის არც რიდი აქვს და ნამეტნავად, არც მოვალეობა აწევს სინდისზე - მიიმე ტვირთად!

ჩვენ რომ ძალიან გვიყვარს, იმ ყოვლად შტერულ და „მარადიულ“ კითხვას - „გვეშველება რამე?“ - ერთი სწორი პასუხი აქვს:

...მაშინ, როცა ხელისუფლებას ხალხის შიში და მორიდება ექნება!

...მარა, ეს ლოზუნგია! აბა, სად ის, რაც მე აქ „ნაცების“ ნამოქმედარი ჩამოვთვალე, და სად ის, „საქმიანი და ქართული“ მოქმე - როგორ დააქცია ჩვენი სახელმწიფო და დემოკრატია ორმა რუსმა „ბაიკერმა“ და უდღეურმა ლუწკოვამა?

მერაბ ხაჩიძე

ვენდოთ NDI-ს კვლევებს?!

გამოკითხულთა 68 პროცენტი NATO-ში განუპირობებელი მომხრეა

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ახალი კვლევის თანახმად, გაიზარდა მათი რიცხვი, ვისთვისაც მისაღება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებები მიზანი, საქართველო გახდეს ნატოს წევრი. NDI-ის ცნობით, გამოკითხულთა 68% ამბობს, რომ მათთვის მისაღება ნატოში განუპირობებელი, ხოლო 21%-თვის მიუღებელია.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის იანვრის კვლევით, ნატოში განუპირობებელი მომხრე იყო 61%, 2016 წლის ივლისში - 64%, ხოლო 2016 წლის მარტში - 68%. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ყველაზე მეტად ნატოში განუპირობებელი 2013 წლის ნოემბერში სურდათ (81%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - 2017 წლის იანვარში (61%).

კვლევის სავსე სამუშაოები ჩატარდა 7-28 აპრილს მთელი საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით), 2493 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე. NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით. გამოკითხვას ატარებს CRRC-საქართველო. საშუალო ცდომილების ზღვარი მაქსიმუმ 2.7%-ია.

საბჭოთა კავშირის დაშლას 48 პროცენტი კარგ მოვლენად მიიჩნევს


NDI-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, კითხვას, თქვენი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის კარგი მოვლენა იყო თუ ცუდი, 48% ფიქრობს, რომ კარგი მოვლენა იყო, ხოლო 42% - მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი მოვლენა იყო.

84 პროცენტი უსსოთის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს მიესალმება

„ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს მიესალმება. კითხვაზე - მისაღება თუ არა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, გამოკითხულთა 84% აცხადებს, რომ მისაღება, 11% აღნიშნავს, რომ

მიუღებელია, ხოლო 5%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის. კითხვას, თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან, რომელი დაეხმარება ყველაზე მეტად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებაში, გამოკითხულთა 29% ნატოში გაწევრიანებას ასახელებს, 16% - საქართველოს მიერ საკუთარი ძალებით თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ხოლო 11% - ევროკავშირში გაწევრიანებას. გამოკითხულთა 14% შეკითხვას პასუხობს, რომ არ იცის.

გამოკითხულთა 20% მიიჩნევს, რომ თუ საქართველო ახლა შეიტანს განაცხადს ევროკავშირის წევრობაზე, ევროკავშირის წევრი მომავალ ხუთ წელი-



ნადში გახდება. გამოკითხულთა 18% ფიქრობს, რომ 10 წლის შემდეგ, 10% კი მიიჩნევს, რომ არასდროს. კითხვაზე პასუხი არ იცის 32%-მა.

39 პროცენტი უპირობო, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა საბალაისი პროპაგანდას უპირატესად აღიქვამს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 47% ფიქრობს, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა არსებობს. კითხვაზე - ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა არსებობს, გამოკითხულთა 27% უარყოფითად პასუხობს, 26%-მა არ იცის, ხოლო 1%-მა პასუხზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება კითხვას, თუ რა სახით ვრცელდება ეს პროპაგანდა, გამოკითხული მოსახლეობის 39% - სატელევიზიო არხებს, 34% - პოლიტიკურ პარტიებს, 32% - ინტერნეტ და სოციალურ მედიას, 15% - რუსულენოვან არხებს, 1% - ეკლესიას, ხოლო 3% - მეზობელ-ნათესავს ასახელებს.

63 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 63% მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

კითხვაზე - რომელი ქვეყანა წარმოადგენს დიდ საფრთხეს საქართველოსთვის, გამოკითხულთა 6% თურქეთს, ხოლო 5% ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებს.

რაც შეეხება კითხვას - რომელი დაეხმარება ყველაზე მეტად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას, გამოკითხული მოსახლეობის 29% მიიჩნევს, რომ ნატოში გაწევრიანება, 16% - თავდაცვის გაძლიერება, 11% - ევროკავშირი, ხოლო 7% - აშშ.

51 პროცენტი აზრით, საქართველოში დემოკრატია

NDI-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, კითხვას, არის თუ არა ქვეყანაში დემოკრატია, გამოკითხულთა 51% პასუხობს, რომ არის დემოკრატია, 40% პასუხობს, რომ არ არის დემოკრატია, ხოლო 8%-მა არ იცის. გამოკითხულთა 46% ფიქრობს, რომ ქვეყანა დემოკრატიულია, მაგრამ საჭიროებს გაუმჯობესებას.

კითხვას, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველო დაცული ქვეყანაა, სრულად ეთანხმება 11%, ნაწილობრივ ეთანხმება 43%, ნაწილობრივ არ ეთანხმება 21%, საერთოდ არ ეთანხმება 22%, კითხვაზე პასუხი არ იცის 5%.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტმა (NDI) და CRRC - საქართველომ 2017 წლის აპრილში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების პირველი ნაწილი დღეს წარადგინა.

კვლევის სავსე სამუშაოები 7-28 აპრილის პერიოდში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით) წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 2,493 პირისპირ ინტერვიუ ჩატარდა.

სომხეთში რუსული სამხედრო ბაზის გაფართოება იგეგმება. სომხეთში რუსეთის ელჩი აცხადებს, რომ ბაზის გაფართოება ქვეყნებს შორის სამხედრო შეთანხმების საფუძველზე მოხდება. ივან ვოლინკინის განცხადებით, რუსეთის სამხედრო ბაზა სომხეთში ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად იმყოფება. ელჩის განცხადებას ამ დრომდე უკომენტაროდ ტოვებს ოფიციალური ერევანი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი სომხეთში წარმოდგენილია გიუმრიში დისლოცირებული 102-ე სამხედრო ბაზით და რუსეთის 3624-ე საჰაერო ბაზით, რომელიც ერევანთან ახლოს, ერებუნის აეროპორტში მდებარეობს. გიუმრი სომხეთის სიდიდით მეორე ქალაქია, რომელიც ნატოს წევრ თურქეთს ესაზღვრება. ბაზის იჯარაში რუსეთი არაფერს იხდის და მის ფუნქციონირებას, ნაწილობრივ, სომხეთის სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფს. შეიარაღების ნაწილი გიუმრის ბაზაზე ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების დასურვის შემდეგაც მიიღო.

გიუმრის ბაზა რუსეთის შეიარაღებული ძალების ამიერკავკასიის ჯგუფის ნაწილია და დსთ-ს ერთიანი საჰაერო თავდაცვითი სისტემის კომპონენტს წარმოადგენს. სომხეთში რუსეთის სამხედრო ყოფნას 1995 წელს ხელმოწერილი შეთანხმება უზრუნველყოფს. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა, რომელიც 25 წელზე იყო გათვლილი, 2010 წელს, 2044 წლამდე გაგრძელდა.

სომხეთში რუსული 102-ე სამხედრო ბაზა გიუმრიში მდებარეობს, სადაც რუსეთის 100-მდე ტანკი, 140-მდე ჯავშანმანქანა, 70-მდე საარტილერიო სისტემა D-30, კონტინგენტი კი დაახლოებით 6000 კაცს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მთიანი ყარაბაღის „გაყინული“ კონფლიქტისა და კონფლიქტის განახლების შესაძლებლობის არსებობის პირობებში, სომხეთ-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობა სომხეთის ეროვნული უსაფ-



კავკასიაში კონფლიქტის განახლების ალბათობა იზრდება

როსთოების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ანალიტიკოსების შეფასებით, სომხეთში რუსეთის სამხედრო გაძლიერება ნიშნავს, რომ კავკასიაში, შესაძლოა, კონფლიქტის ახალი კერები გაჩნდეს. საგულისხმოა ისიც, რომ მთიანი ყარაბაღში ვითარება პერიოდულად იძაბება. სამხედრო ექსპერტი **მასტანბ მანისაია** იმ სამ მიზეზს ასახელებს, რატომაც რუსეთი სომხეთში არსებული სამხედრო ბაზის გაფართოებას აპირებს.

„როგორც ჩანს, რუსები მთიანი ყარაბაღში სამხედრო კონფრონტაციის ახალ ტალღას მოელოან. ისინი ეცდებიან, რომ

სომხეთის ტერიტორია გამოიყენონ „სამშვიდობო ოპერაციის“ განსახორციელებლად. ამიტომაც წამოჭრეს მათ აფხაზეთის რკინიგზის თემა. მათ სჭირდებათ ეს სარკინიგზო კომუნიკაცია, რომელიც რუსეთს სომხეთთან და ირანთან დააკავშირებს.

მეორე – ეს უკავშირდება სირიის პრობლემას, რადგან სომხეთში არსებული ბაზა უნდა იყოს მთავარი საყრდენი სირიის სამხედრო ოპერაციებისათვის. რუსეთი აპირებს გააფართოოს თავისი სახმელეთო კომპონენტი, რაზეც ირანი და რუსეთი უკვე შეთანხმდა. ისინი გააძლიერებენ სახმელეთო კომპონენტს და თა-

ვიანთ სამხედრო კონტინგენტს სირიის მიმართულებით.

მესამე – რუსეთს ალღეებს ნატოს გაფართოება შავი ზღვისპირეთის არეალში, ანუ ეს სახმელეთო კომპონენტის გაძლიერება, რაკეტსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების გაძლიერება, ანუ თურქულ-ამერიკული ინფრასტრუქტურის ბაზის სრულად გაკონტროლებასაც ისახავს მიზნად“, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

როგორც ექსპერტი აცხადებს, სომხეთში რუსეთის სამხედრო გაძლიერება საფრთხის შემცველია საქართველოსთვის, რადგან ეს სერიოზული საფრთხე იქმნება, საიდანაც შეიძლება რუსული აგრესიის განხორციელება საქართველო-რუსეთს შორის ომის განახლების შემთხვევაში. მისივე თქმით, რუსეთის სამხედრო გაძლიერება ნიშნავს, რომ კავკასიაში, შესაძლოა, კონფლიქტის ახალი კერები გაჩნდეს.

სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი **მამუკა არაშიძე** ამბობს, რომ ჩვენ ვიმყოფებით საკმაოდ გაცხელებულ პოლიტიკურ რეჟიმში, იმ თვალსაზრისით, რომ ნატოს გააქტიურებამ შავი ზღვის აუზში ძალიან დაამძიმა სიტუაცია, რამაც რუსეთის საპასუხო ქმედებები გამოიწვია.

„ორივე მხარის კონტრპასუხებმა გამოიწვია რეგიონში სიტუაციის უაღრესად დაძაბვა და რას ვგულისხმობ – რუსეთის მიერ ყარაბაღის ანექსია და თავის ტერიტორიად გამოცხადება, მისი ქმედებები უკრაინაში, სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში, ყველაფერი ეს ერთმანეთთან დაკავშირებული ჯაჭვური პროცესებია.

პარალელურად, ნატო აძლიერებს თავის წარმომადგენლობას შავ ზღვაში, ვიცით, რომ რუმინეთში კეთდება ახალი საზღვაო ბაზა. ძალიან დიდი პროექტებს იწყებს ნატო. შესაბამისად, ამის საპასუხოდ რუსეთი აძლიერებს თავის სამხედრო კონტინგენტს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და სომხეთში“, – აცხადებს მამუკა არაშიძე.

ოთაბი ძარჩაპა

დავა

დედაბაბაძის მოსახლეობას აზერბაიჯანული ბუნებრივი გაზის დისტრიბუტორი „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ 2006 წლიდან მოყოლებული მას შემდეგ ამარაგებს, რაც ყაზახური სახელმწიფო „ყაზმუნაი გაზის“ შვილეულმა „ყაზტრანსგაზმა“ ჩვენებური გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზი“ შეიძინა. ამ გარიგების ღირებულება 12,5 მილიონი დოლარი იყო, მაგრამ უკვე სამ წელიწადში, ანუ 2009 წლისთვის სს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, მათ შორის 68 მილიონი ლარი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ.

ყველაფერი ეს, რომ იტყვიან, ძველი და კარგად ცნობილი ამბებია, რომელთა გასხენება, ალბათ, არცთუ საინტერესო იქნებოდა, რომ არა ერთი ბოლოდროინდელი ამბავი: რამდენიმე დღის წინათ „ყაზტრანსგაზმა“ საქართველოს მთავრობის მიმართ საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ყაზახეთის მედიასაშუალებების ცნობით, ამის მიზეზი ისაა, რომ კომპანიამ შეიღებული „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გაყიდვა ვერ შეძლო და, ამ მოტივით, მის უკან დაბრუნებას ითხოვს, რომელზეც კონტროლი, უკვე ნახსენები დავალიანების გამო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რვა წლის წინათ დაკარგა. მაშინ წარმოშობილი დავალიანების გასასწორებლად, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულმა კომისიამ (სემკემა), „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალური მმართველობა დანიშნა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ყაზახური მხარე შეურიგებლად შეხვდა და მას შემდეგ აგერ უკვე ამდენი წელია, გაზგამანაწილებელი კომპანიის მენეჯმენტში დაბრუნებას ცდილობს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მმართველი პოლიტიკური ძალის შეცვლის შემდეგ სხვადასხვა დონეზე განცხადებები გაკეთდა იმის თაობაზე, რომ ყაზახეთის მხარის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებოდა, თუმცა კი ვითარების არსებითი შეცვლა არ მომხდარა.

– თავდაპირველად კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სახელმწიფო ნავ-

ქართულ-ყაზახური „გაზის ომი“: ბრძოლა ბრძოლდება

თობისა და გაზის კორპორაციის მიმართ დაგროვილი 80 მილიონი დავალიანება გადაიხადა, მაგრამ საქმე ის არის, რომ წლების განმავლობაში ვალის გადაუხდელობის გამო ამ თანხას საურავი ერიცხებოდა, – განაცხადა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სემკემის წევრმა **გოჩა შონიამ**. ამის გამო, სადღეისოდ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ საქართველოსთვის დაახლოებით 77 მილიონი ლარი აქვს გადასახდელი.

სემკემის წევრის თქმით, არსებული დავის ორივე მხარისთვის მისაღები შედეგით გადასაჭრელად საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობისა და ქართული მხარის, კერძოდ, ხელისუფლებისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა მოლაპარაკებების გაგრძელება.

– ჩვენი მიზანი არ არის „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ როგორც ინვესტორის „თამაშიდან გაყვანა“, პირიქით, გვსურს კომპანიის ბაზარზე დარჩენა, მაგრამ საამისოდ გარკვეული პირობებია შესასრულებელი, – დასძენს ბატონი შონია.

ყოველივე იმის თაობაზე გაზგამანაწილებელი კომპანიის ხელმძღვანელო-

ბისთვის კარგადაა ცნობილი, ვინაიდან შესაბამისი საპრეტენზიო შეტყობინება მიღებული აქვთ და ორმხრივი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების რესურსი ჯერჯერობით კიდევ არსებობს, თუმცა კი თუ საქმე დავის სასამართლო გარჩევამდე მივა, ქართულ მხარეს სასვებით არგუმენტირებული, მყარი პოზიციები აქვს.

– მთავრობაში მუდამ ის განწყობა იყო, რომ ყაზახეთის მხარე კვლავ დაბრუნებულიყო „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მმართველობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხზე ჩვენი პოზიციების შეჯერება ვერ მოხერხდა. ამჟამად პრეტენზიები რამდენადმე სხვა ფორმატშია გადასული და თემაზე მუშაობას განვაგრძობთ, – განაცხადა ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ **ირაკლი ხმალაძემ**.

რამდენად რეალისტურია ქართველი ჩინოსანთა ოპტიმიზმი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, ძნელი სათქმელია, რადგან, როგორც ჩანს, ყაზახურ მხარეს საკუთარი არგუმენტაცია აქვს, რომელიც ეიმედება და საარბიტრაჟო სასამართლოსაც სწო-

რედ ამის გამო მიმართავს. თუმცა, სასამართლო დავის დაწყებამდე, როგორც ჩანს, საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა მაინც შესაძლებელია, ვინაიდან „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლის **სანჟარ შოკატაევის** განცხადებით, მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, კომპანია სასამართლოდანი სარჩელს უკან გამოიძახებს.

– არსებობს საკითხის გადანყვეტის ორი ვარიანტი: ან კომპანიის ყაზახური მხარისთვის დაბრუნება, ანდა მისი გამოსყიდვა, რაც ჩვენ მიერ განხორციელებული ინვესტიციების უკან დაბრუნებას ნიშნავს, – ამბობს ბატონი შოკატაევი. – მას შემდეგ, რაც „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალური მმართველობა დაინიშნა, კომპანიის შესყიდვის მსურველი რამდენიმე სუბიექტი იყო, მაგრამ ესეც ვერ განხორციელდა.

რაც შეეხება ვალის დაფარვის პროცესს, ამასთან დაკავშირებით ბატონმა შოკატაევმა განაცხადა, რომ საკითხთან დაკავშირებული დეტალები კომპანიის სპეციალური მმართველობის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს, რომელიც იქ შეიდი წელია, მოქმედებს. მისი აზრით, ამ ხნის განმავლობაში მისი დაფარვა სასვებით შესაძლებელი იყო, ამდენად, ყაზახური მხარისთვის ამხელა თანხის დაკისრება, მისი აზრით, ნამდვილად არამართებულია.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტაცია აქვს და რამდენად მოხერხდება „ყაზტრანსგაზ-თბილისისთან“ დაკავშირებული გაზის სადისტრიბუციო „ომის ბილიკზე“ გამოსული მოქიშპეების დაზავება, მით უმეტეს ბუნებრივ გაზზე ტარიფების მომატების თითქმის უალტერნატივო პერსპექტივის გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, იმის თქმა კი დიდი ალბათობით შეიძლება, რომ ბუნებრივი გაზის ტარიფებისა და მისი დისტრიბუციის საკითხი ახლო მომავალში უდავოდ საჯარო განსჯის „ცხელი თემა“ იქნება.

ოთარ ტურაბაიძე



ქართული სიბერის ალალო ბრწყინალო!

ჩვენი ძვირფასი გიზო ზარნაძე 36 და 36, ეწევა ასაკით ჩვენს გაზიარებულ თუ ასაკში მწერალურ ასაკს ვიბულისხმებთ, იგი თითქმის 60 წელიწადია, რაც თავისი მხიარული ნააზრებით ახალისებს ჩვენს ამ გოლო დროს არცთუ ყოველთვის ცნობიერებასა და პატივს მიატოვებულ მკითხველს.

გიზო ზარნაძეს მემორაბი და კოლეგები ვიცნობთ როგორც კალამიერიანი მწერალი, რომლის თარგმანი იძნებდა, პროზაული ძინილება თუ პაროდული შეხვედრა, მუდამ კარგ გუნება-განწყობილებას გვიძინებს და ყოველგვარი უხასისიერების გარეშე გაცივებს ებრძოვით გვიძინებს. ამიტომ არის გიზო ზარნაძის მადლობისილი მხატვრული სიტყვა თავისივე უბრალო წამლის შემცველი და ამიტომ გვყავს იგი მადლიერ მემორაბებს და მკითხველებს მწერალ-პროზაორად მონათლული.

როგორც პაროდისტმა, თავის ასაკსაც, ანუ 85 წელს, ამ თვალთ შეხედა და გაახალგაზრდავების ზარნაძისებური ხარისხი მოიგონა – 8 და 5-ს ადგილები შეუცვალა და, როგორც იტყვიან, თავლის დახაზვაზე 58 წლისა გახდა.

ასე რომ, გილოგიურ 85 წლამდე ჩვენს ძვირფას გიზოს მთელი 27 წელიწადი წინა აქვს.

აბა, ჰე, ქართული სიტყვის ალალო ბრწყინალო და გიზო, არ შეხელო ეს შენი მწერალური გაახალგაზრდავება და კვლავაც ამჟამინდელ სახვარად მწერალ-პროზაორად დარჩი მკითხველისთვის ქართული მწერლობის წინაშე მართებულად ვალდებულად ზარნაძე გიზო!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია



პაროდები

მუსკან მათაბერიანი

მე-20 საუკუნის მიწურული ანუ მოქცავშირული ადამი



არაგვი „გაშლილია მდიდრული სუფრა... გარდაიცვალა „ერის კაცი“, ჩინებული ლხინია! შუსუსუს მინისტრი, თარგამაძე, თავაზიანობს

ყასიდად: შემწვარ მწვერ არ მიერთმევეთ, ქალბატონო ირინა? გამდლობთო, – ირინამ, – ჩემიც ბლომად მყავსო! (ლობიოს წაეტანა. ნამლევ მთვარესა ჰგავს) გურულეებს ტირილშიხიცი არ გვიყვარსო! – ეტყვის იქედნურად, გულდრძოდ თვალეებს ნაბავს... გახურდა ქეიფი. მანდილოსნები ჭორებს, მამაკაცები ვეება ყანებს დაეწაფნენ. კახუნა – მართვე შევარდენის, ირინა – გნოლი შაოსანი, ებღვირებიან ერთმანეთს. (ოო, ეს უკვე ზედმეტია!) კახუნამ: მე თქვენ მოგიწყობთო ბაიბამ-ზეიმს! დაიჟინა, მიტინგიაო! – ბაკურაძეს დაეურეკავ და გიწვევებო სერს! – რას უთხარ! – კახასთან ელენე მიფრინდა: ტო ესტ „Писп“-ი არი, რას გამატიტინგა? – ჰი, ჰი, ჰი, – ქირქილებს მუჭში სარიშვილი, – ეს თუ მინისტრია, ამასაც ვიკითხავ!... მეფე, კახუნამ „ჩაატარა“ არჩევნები, შალიკო გამოვარდა. შევარდა ფიქრია. მეფე, სტრასბურგიდან, მოიცათ, მაცალეთო! – იქადის შალვა და ქუდს ბერტყავს ფიფქიანს... მეფე, მამუკას, თამრიკოს, ვანიკოს „ქუჩის პოზიცია“ ჰქვია და, რა თქმა უნდა, ირინაც იქვეა!

მუსკან მათაბერიანი




ჩიტაძის ქუჩის დასაწყისში ჭადრის ხეში დღესაც ჩარჩენილია კიტოვანის ყუმბარის მას-რა 1991 წლის დეკემბრის სახსოვრად.

ორსავე მხარეს ბოძებული ტყვია და დენთი, რუსის ხელმწიფის დაგებული, ნაღდად მახეა! არავითარი არგუმენტი, ამაზე მეტი, არ გაგვარჩინა! ვითარ იწვოდა „რუსთველი“ და ილხენდა ფლიდი. ყუმბარის მასრა ბებერ ჭადრს დღესაც გასჩრია! არავითარი დოკუმენტი, ამაზე დიდი, არ გაგვარჩინა! „სპოსიბოს“ ნაცვლად, საზღვრად ვიზის

ალმართა კეტის. და მაინც ისევ ვუერთგულთ?! ვის, გააჩნია! არავითარი სხვა ლამპარი, ილიას მეტი, არავითარი სხვა სხნა, სხვა გზა, არ გაგვარჩინა!

ჯანსუღ ჩარკვიანი



„მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, მევალისათვის მიმატანინე ვალი“ მოშურნესათვის დამავსებინე თვალი, მსტოვარისათვის ამბუნვენიე კვალი, მომხდურისათვის გამაკვრვენიე ბრჭყალი, იმისი სისხლით გამაფრინე ხმალი, დაცამლენვენიე მისი ხორცი და ძვალი! დამაბრუნებინე ყველა ლაზი თუ გურჯი, ყოველ მათგანში გამაღვიძებინე ქუჯი, მოდავესათვის დამაბრუნებინე სურდა! მეფე მობრძანდეს, მობრძანდეს, ვისაც უნდა!

შენ ჩინებულნი მესიჭყვე ხარ...

გიზო ზარნაძე - 85

ჩემო გიზო,

ენაზე მადგას და უნდა გითხრა: დამენანა ფაზილი ისკანდერის მოთხრობისთვის მორგებული შენი ქართული, იმგვარი უხვი ფერებითა და სიტყვა-თქმებითაა განწყობილი შენი თარგმანი. არა თარგმანი, არამედ ის მოთხრობა, თითქოს შენ გამოიყვანე და არა უცხო-ენოვანმა აფხაზმა მწერალმა!

იგივე იტქმის შენეულ ზოშჩენკოზე, რასაც შენი ცხოვრების არაერთი წელიწადი შეაღიე. მიხაილ ზოშჩენკოსათვის კი არის შენი ალალი ქართული, მაგრამ აფხაზმა მწერალმა რატომ უნდა უღალატოს მოშობლიურ ენას?!

შენ, რა თქმა უნდა, არა მარტო ჩინებული მთარგმნელი ხარ, არამედ – კარგი მოთხრობების, კარგი გამოკვლევებისა და წერილების, კარგი მონოგრაფიის („ასეთი იყო ოტია“) ავტორიც. რამოდენა სივრცის დამტყვევია ეს შენი ცნაწილაკი! კი ბატონო, შესაძლოა, ძირისძირობამდე იცნობდეთ იოსელიანის მდიდარ შემოქმედებას, გინახავთ მისი პიესების მიხედვით დადგმული ან შლაგებიანი სპექტაკლები, კინოსურათები, მაგრამ, როგორი იყო ოტია პირად ცხოვრებაში, კონკრეტულ ადამიანებთან ურთიერთობაში, ა, ამას იტყვს ცნაწილაკი! ანუ, ყოველივე ამაზე საუბარი მე, როგორც მის ერთ-ერთ მეგობარს, დიახაც ხელმეწიფებაო!

აქვე საგანგებოდ უნდა მოვიხსენიო შენ მიერ გამოცემული გალაკტიონისეული ბედკრული გარემოცვის ცხოვრებისეული დეტალები. არა დეტალები, არამედ მთელი ბიოგრაფია. „გალაკტიონის განწირული გარემოცვა“ ნამდვილად ძვირფასი შენაძენია წიგნიერი მკითხველისთვის.

არაჩვეულებრივი საკითხავია ვახტანგ ჯავახაძისა და მანანა ჩიტიშვილისადმი მიძღვნილი შენი ესეისტური აღნაგობის წერილები.

რამდენი რამ კიდევ მე არ ვიცი და რამდენი რამ, დარწმუნებული ვარ, კიდევ გვექნება სათქმელი და საწერი!

თან, როგორი ვითხველი ხარ! შენს ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში მოხმობილია და ოსტატურად გახედული ალიო მორცხულავას ერთი შესანიშნავი ლექსი „ვერსვი“ („წრდილზე ფეხს რო დამადგამდენ, ტანში გამაჟირიალებდა“).

ერთ რამეში კი, აქვე მინდა, გითხრა, არა ხარ მართალი: ღალატობ ჩვენეულ, ქართველურ ადათ-წესს და შურის ნამცეცცი არ მოგეპოვება, არაფრად ავდებ სულხან-საბასეულ განმარტებასა თუ არსაკიძისეულ ამონათქვამს და არც შენგან დიდად მოწონებული პოეტის გამონათქვამისა გჯერა:

„За городом вырос пустынный квартал, На почве болотной, зыбкой, Там ж, л, поэты, каждый встречал Друг-друга с надменной улыбкой“

(ა. ბლოკი)

არადა, ეს თითქოს ჩვენზე ნათქვამი და ზედ გამოჭრილი – ჩვენ ხომ გარდაცვლილი პოეტების მოყვარულნი ვართ! ახალ, ცოცხალ რუსთაველს საავადმყოფოში კაციშვილი არ აკითხავს, მიცვალებულს კი მთანმინდისავენ ზღვა ხალხი მიაცილებს („ადიდებულ მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა“ – მ.ლ.).

ასეთები ვართ-მეთქი, რაც შენზე არ იტქმის. შენ ნამდვილი მეგობრობის ერთ-ერთი განსახიერება ხარ. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, სამადასამ მაგალითს მოვიყვან: შენს დამოკიდებულება-ურთიერთობას უფროს კოლეგასთან (ოტია იოსელიანთან), უმცროს კოლეგასთან (ირაკლი ვაშაყმაძესთან) და ჩვენ ძვირფას პოეტ ქალბატონთან (მანანა ჩიტიშვილთან), რამაც მიკარნახა ლექსი, რომელსაც აქვე ჩამოვწერ.

გიზო ზარნაძეს

(მანანა ჩიტიშვილის ლექსების კრებულზე გამოქვეყნებული წერილის გამო)

შენ მანანას ლექსი მოგწონს, ანუ მისი შაირი, და რო აღარ მოგაგონდეს, დღე ისე არ ჩაივლის. ლექსი ბევრი იწერება, ანუ ნაირ-ნაირი, სხვაა ჩიტიშვილის ლექსი, ჩიტიშვილის შაირი. მისი ჩართულ-გადართული, ანუ სულ სხვანაირი, მრავალათვის შეუმჩნევი, ისე, როგორც ჰაერი, რითაც ვართ და რითაც ცოცხობს თავად

დედაბუნება, ასე ვეფიცებით კოცონს, გულს რომ ელულუნება, თუმც არ ვიცით – რატომ მოგწონს, გვიყვარს

ცეცხლის ყურება, ჩიტიშვილის გიყვარს ლექსი, ჩიტიშვილის გალობა. თავით გიდეგს მისი წიგნი, თავად რომ გინყალობა, გუნებისად გაშლი ხოლმე (ავერუმ მის ქალობას!). კითხულობ და გავიწყდება დროის წარმავალობა. ეგ არის და გორის ციხე! ფანჯარასთან მიდხარ და გასძახი უკუნ ღამეს, რანი ვართ და რითი ვართ, თან შორსა ხარ, თანაც აქ ხარ, ცხადი ხარ

და მითი ხარ, არ იცი, ეს როგორ ხდება და შენს თავზე დიდი ხარ!..

მუსკან მათაბერიანი

ლიტერატურულ პარნასზე არც არვის არ ესესხები...

ოთხმოცდასუთის გამზდარხარ, „ლიტ. საქართველომ“ მაცნობა. მოგყვება მაინც მხარდამხარ ჩაუქი ახალგაზრდობა, ნეტავ სხვებისაც მანახა შენებრი კაცურ-კაცობა. მართალი საქმის ხარ აზრზე, წყნარი და ჩუმი მთესველი.

ლიტერატურულ პარნასზე არც არვის არ ესესხები, გაზრდილხარ გიზო ზარნაძედ კეთილშობილი ფესვებით. უშუალობას გიქებენ და ჩრდილში ყოფნის სიბრძნესაც, განაპირობებს სიკეთე შენი სიცოცხლის სიგრძესაც.

ვისურვებ, ასეთ ბარათით შეგეხმეიანო მეორედ (თუ ადრესს გავიმეორებ, ამით ჩემს თავსაც ვილოცავ): „გამზდარხარ ოთხმოცდაათის გ. შევილაძე გილოცავს.“

ბივი შაჩილაძე



ყოველკვირეული ლიტერატურულ-კულტურული ჩანართი №263

პროლოგი

„მგზავრის წერილები“, ილია ჭავჭავაძე: „მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილ ფრანგიელს გამოსასალმებლად. – ეგ ეტლი ვისი მოგონილია? – მკითხა და მიმიშვირა ხელი ფოტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერან გამოფიზილებული ფოტის იამპიკი უგემურად თვლებდა.“

– რუსის, – ვუპასუხე მე.
– მებრალეებით. რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გამოალაყვინოთ ტვინი და გააღღვებინოთ გულმკერდი.

– არა უშავს-რა, მთელი რუსეთი მაგიტ დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

– მაგიტ დადის? იმითმაც შორს არის წასული! ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მოგცეთ. მე კი სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავჭადა-რიყავი. მშვიდობით. თუკი შევხვდებით ერთმანეთს კიდევ, როდისმე, გთხოვთ, მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ გამომიწოდა გამოსასალმებლად და ისე მაგნად მომიჭირა ხელი, როგორც ვეროპელმა იცის-ხოლმე.“

ფრანგის სიტყვებით – „თუ შევხვდებით ერთმანეთს როდისმე“ და მისი ვეროპელად ჩამოთმეული ხელით ილიამ ფრაგმენტულად წარმოგვიდგინა ვეროპა.

* * *

მომავალი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თავყრილობაზე, შალვა ამირაჯიბი იტყვის, რომ ცნება ვეროპეობა ჩვენში ილია ჭავჭავაძის შემოტანილია... თუმცა, ლიტერატურაში პირველი ვეროპეობა ილიამ ნიკოლოზ ბარათაშვილს მიაკუთვნა.

თუმცა ილიასვე ეკუთვნის ეს სიტყვებიც: „გაბედვით შეიძლება ითქვას, რომ ვეროპელმა დაგვიხმო ბუნება და შეგვექმნა ძნელად შემგებელი ჩვენი საკუთრებისა“.

„რა აქვს სათქმელი ილია ჭავჭავაძეს ვეროპისთვის?“, – ეს კითხვა თბილისში, დიუმას ცენტრში, ილიას მოთხრობების კრებულის ფრანგულად მთარგმნელმა გასტონ ბუაჩიძემ დასვა და თავადვე განმარტა: „ის თვალეში უყურებს სიძნელეებს და ძალიან ძვირფას რჩევას გვაძლევს, რომ შენი თავი შენ უნდა გეყუდნოდეს...“ და „ჩვენ ჩვენი უნდა ვშვათ მყოობად“...

ასეთ ვეროპეობას ქადაგებს ილია, – ვეროპეობაიას – საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებით. ამ გზაზე დადგომას ცდილობს დღეს საფრანგეთიც. ფრანგულენოვანი ილიას კრებულში ასეა დასათარგმნელი: „არც ტყვია, არც სახრჩობელა“. მოთხრობით „ისევ სარჩობელაზედ“ და მწერლის გამოსვლით სახელმწიფო სათათბიროზე ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, მაშინდელი საქართველომ იდეოლოგიურად რამდენიმე ვეროპულ ქვეყანას გაუსწრო... გაუსწრო უფრო ადრეც... ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში აიკრძალა ადამიანის სიკვდილით დასჯაც, დასახიჩრებაც.

EX ORIENTE LUX (ნათელი აღმოსავლეთიდან) თუ ლოდინით დგომა დასავლეთის კარის წინაშე საქართველოში რადიკალური პოზიციების გამოხატვის საშუალებად რჩებოდა.



ორმელიანი დაბრუნდა ვეროპიდან გულგატეხილი... ათეული წლების მანძილზე ვარირებს ეს თემა, რომ მეფე ლუდოვიკოს კარზე, რაც შეიტანა, იგივე გამოიტანა ელჩმა ქართლისამ...
1921 წელს კი პარიზის ნაწილმარ ვოგალზე ოკუპირებული საქართველოს კანონიერ მთავრობას არავინ დახვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საფრანგეთმა ისინი ოდენ ლტოლვილის სტატუსით მიიღო. ვეროპამ რუსეთთან დაპირისპირება არ ისურვა.

„წახვალ, ინანებ. არ წახვალ, ინანებ – ესაა მეტაფიზიკა ჩვენი წარსულის, – ფიქრობს ნიკოლო მიწიშვილი, – საქართველოს ბედი და მისი გზები თავსდებოდა ყოველთვის ამ ფორმულაში“.
წახვალ, ინანებ, არ წახვალ, ინანებ...
ჩვენ ვაღიარებდით ვეროპას, როგორც კულტურის გეოგრაფიულ ტერიტორიას, ამ დროს იგივე ვეროპის კრიზისზე და ვეროპის მზის ჩასვენებაზე საუბრობდნენ ყველაზე დიდი ვეროპელები. ნიცშეს „ვაგნერის დაცემა“ თუ შპენგლერის „ვეროპის დაცემა“ ორივე შემთხვევაში ვეროპის კრიზისს ნიშნავს.

„მაშინ, – ამბობს პოლ ვალერი, – ვეროპის ფიზიკოლოგიური არსებობის უმწეო მკვლელად, ვეროპის სულში ბუნდოვნად გაიღვიძა მთელმა მესხიერებამ. ისტორი-

თმანეთს, რომ პირველს რუსული ტალავარი არ ჩაუყვამს. მეორეს ვეროპული არ გაუხდია, მაგრამ შეხვედრა დიდი იყო და ამგვარი შეხვედრანი მხოლოდ ეპოქათა ზღვარზე ჩნდებიან“.
წახვალ, ინანებ, არ წახვალ, ინანებ...
* * *

ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ყურნალები, ორივე გასული საუკუნის დასაწყისში გამოცემული: „ცისფერი ყანწები“ – რედაქტორი პაოლო იაშვილი და „ლილია“ – რედაქტორი ვახტანგ კორტეიშვილი. ორივე რედაქტორი მაშინდელი ლიტერატურული მეტრია, მაგრამ ერთი ვეროპეობას ქადაგებს, მეორე თვლის, რომ საქართველოს აკვანი არის აზია, დევიზით, „უკან აზიისაკენ, წინ წასასვლელად“...
„როგორც არ უნდა გათავდეს ომი, – წერს ტიციან ტაბიძე, – წინა აზიაში ვეროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქემ-შეჭურვილი, რომ იყოს მთავარი მორგავი, რაზედაც მოეხვევა ახალი იდეები. ჩვენ ვიზამთ ამას“.

დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ვხვდებით თუ არა ვეროპას შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით. ეს სხვა თემაა. ახლა შევეცადოთ, გავიგოთ, რა იყო ის ძირითადი არგუმენტები, რითაც გასული საუკუნის დასაწყისში ერთნი ვეროპის დამკვიდრების აუცილებლობაზე მსჯელობდნენ, მეორენი აზიის. როგორც იყო მათი აზროვნების ფორმა და პრიორიტეტები.

აღმოსავლეთი

ვეროპელები ვართ თუ აზიელები?



ის სიღრმიდან რიგრიგობით ამოტივტივდნენ მისი დიდი პიროვნებანი და დიადი ქმნილებანი. არასოდეს კითხულობდნენ უფრო ბევრს, ვიდრე მაშინ, ომის დროს... არასდროს ლოკულობდნენ უფრო მეტს და უფრო მხურვალედ. დაეკითხეთ სამღვდლოებს. სასოწარკვეთილებამ გამოიხმო ყველა მხსნელი და ფუტემღებელი, ყველა მფარველი და მარტვილი. ყველა გმირი და მამულის მამა, წმინდანებად შერაცხილები, ნაციონალური პოეტები და ამ ინტელექტუალურ ქაოსში, ამ სასოწარკვეთილების შედეგად, ვეროპამ განიცადა თავისი მრავალწახნაგოვანი აზრის ალორძინება. ქრისტიანობის ათას ერთმა ნიუანსმა და ინტელექტუალურმა სინათლემ განათა ვეროპული სულის აგონია“.

ვეროპა გადარჩა. მისგან დამოუკიდებლად, თითქოს, ჩვენც გადავრჩით.

საარქივო ფოტოებში მრავალი რჩეული ქართველია, მათ შორის ვეროპამოვლილიც... მაინც რომელი ტანსაცმელი უხდება ქართველს – ნაციონალური თუ ვეროპული. ...ვფიქრობთ, ორივე...
* * *

„მგზავრის წერილები“ დაუბრუნდით. ნაწარმოებში ერთმანეთს ხვდებიან ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოხვევ ლელთ ლუნია და პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული ილია ჭავჭავაძე ვეროპული კოსტიუმით. – „რას მიქვიათ შენი ქართული ლაპარაკი, რას მიქვიათ შენი ქართული გული, – ჰუტად ამბობს მოხვევ. იგულისხმება, რომ გარეგნული ჰინანს უნდა გამოხატავდეს. – მოთხარი ტალავრ როგორი გაცვიოა“. აქ ტალავარში, ანუ ტანსაცმელში გარეგნული ფორმის სერიოზულ მნიშვნელობაზეა საუბარი. ვინაიდან მაშინ ვეროპა ძირითადად რუსეთიდან შემოდინდა, მოხვევსთვის ყოველივე უცხოური მიუღებელი იყო და ქართული ტრადიციის საწინააღმდეგო. შალვა ამირაჯიბი: „ილია, რომელსაც რუსობა ისევე არ უნდოდა, როგორც მოხვევს, საესებით ამ ნიადაგზე ვერ დარჩებოდა. მოხვევ და ილია ისე დამორდნენ ერთ-

ისინი, ვინც საქართველოში წარმოთქვამდნენ დევიზს „უკან აზიისაკენ“ ან საპირისპიროდ, „წინა აზიაში ვეროპა შემოაღებს კარებს“, მისაღებად მხოლოდ ერთადერთს, აზიურ ან ვეროპულ ორიენტაციებს თვლიდნენ. არსებობდა მესამე პოზიციაც, ვთქვათ, ტიციანის „პაპიზის ვარდი მე პრუდონის ჩაგრვაც ვაზაში“, ან კონსტანტინე გამსახურდიას „მონოკლის და ჩოხის“ რომანტიკა ან თუნდაც, გრიგოლ რობაქიძის „ვეროპის და აზიის დაქორწინების“ იდეა.

აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? „ამის შესახებ შეიძლება გუშინ ვამათი, – წერდა გერონტი ქიქოძე, ვისთვისაც ვეროპის კულტურული შემკვიდრეობა, ანუ, როგორც თავად ამბობდა, „ძლიერი და სრულქმნილი პიროვნების ვეროპული იდეალი“ ყოყმანის საფუძველს აღარ იწვევდა.

* * *

პრაქტიკის პროცესს თან სდევდა ომები, რევოლუციები, სოციალური ექო, საფუძველთა მსხვერვა, კატასტროფების სიხლოვე...
ამსტრაქციონიზმი – ესთეტიკის ნგრევის ახალი ეტაპი „დაღლილი ვეროპის“ თავმსაფრად გადაიქცა. „რაც უფრო სამინელი ხდება სამყარო, მით უფრო ამსტრაქტული ხდება ხელოვნება“, – გვეუბნება ვასილი კანდიდსკი – მოდერნული ხელოვნების მეტრი და იქვე დასძენს: „მდინერი სამყარო რეალისტურ ხელოვნებას წარმოშობს“.

მეოცე საუკუნის დასაწყისის პარიზის ატმოსფეროდან სამშობლოში ბრუნდება ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე (ცნობილია, რომ ის, როგორც ამსტრაქციონიზმის ერთ-ერთი პიონერი, შეტანილია მიმულ სეფორის ამსტრაქტული ხელოვნების ლექსიკონში).
დავით კაკაბაძემ ძალიან კარგად იცის ე.წ. ნგრევის ესთეტიკა, თანამდევნი დადებითი თუ უარყოფითი პროცესებით. მანვე ჩამოაყალიბა უახლესი ხელოვნების თეორიული კურსი, მაგრამ საბჭოეთში დაბრუნებულს, ეს გახლავთ 1927 წელი, „ვეროპის ნგრევა“ რეალობიდან აცდენილ განაცხადად მოეჩვენა. „საბჭოთა აღმშენებლობის“ დემაგოგიის წინაშე პირისპირ მდგარი დავით კაკაბაძე შედგებდა და უადგილოდ მიიჩნევს ვეროპის კრიზისზე საუბარს, თუნდაც, დიდი ვეროპელების ციტირებას, რადგან არასწორად და ცალმხრივად იქნება გაგებული. თავის გამოსვლებში ვეროპის კულტურულ მეთაურობას აღიარებს. სამშობლოში ახლად დაბრუნებულ კაკაბაძეს ადაპტაცია ჯერ არ განუცდია. ამიტომ აოცებს საბჭოეთში არსებული ერთმნიშვნელოვანი კრიტიკიუმი, რომ „ვეროპა ხრწნადა“ მხოლოდ იმით, რომ ბურჟუაზიულია. ეს ამსურულთაა აიძულებს მხატვარს საბჭოთა ოფიციალობის წინაშე დაიკვას ვეროპა, როგორც სიმბოლო და სამშობლო თავისუფალი ინდივიდისა.

დავით კაკაბაძე: „ხმარობენ შემდეგ გამოთქმას, რომ ვეროპის კულტურა ნგრევის პერიოდშია, რომ მისგან ჩვენ არათფრს არ უნდა ვვლოდეთ, ვინაიდან დასავლეთის განხრწნილ კულტურას ჩვეთვის არაფრის მოცემა არ შეუძლია... ამნაირი წარმოდგენა დასავლეთის კულტურაზე მხოლოდ თავის მოტყუებაა და გარემოების ნამდვილი სახის არცოდნა“.

30-იანი წლების სამხრეთში ამგვარი სიტყვების წარმოქმნა არ გახლდათ ადვილი. თვითონ მისი მერ ბურჟუაზიული ევროპის ერთმნიშვნელოვან უარყოფას მასები და სამხრეთი ხელოვნება არამა ასევე ერთმნიშვნელოვნად იღებდა, ხოლო ევროპის მახასიათებელი ინდივიდუალიზმის აღიარება ამ მასიური ფსიქოზიდან გადახვევას ნიშნავდა, რასაც აუცილებლად დევნა და რეპრესიები მოჰყვებოდა.

ასეა თუ ისე, საუკუნეების მანძილზე სწორედ ევროპის ფენომენი გახლავთ გემოვნების ავთვისა წერტილი. არსებობს ცნება „ევროპოცენტრიზმი“, რის მიხედვითაც მსოფლიოს ერთ-ერთი ნაწილი ევროპა თავისი დიდი კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, ისტორიის ცენტრში დგას და დანარჩენ მსოფლიოს საკუთარი თვალსაზრისით აფასებს.

ედვარდ საიდის წიგნში „ორიენტალიზმი“ „ევროპა - სუბიექტი“ და „აღმოსავლეთი - ობიექტი“ შეფასებულია, როგორც შემამოფთებელი ტენდენცია, რის მიხედვითაც აზია-აღმოსავლეთი ევროპა-სუბიექტის მიერ ყალიბდება. ევროპა სწავლობს და უყურებს აღმოსავლეთს იმ წინასწარი განზრახვით, რომ დაამტკიცოს ევროპური სტანდარტების სისწორე. მდღარია აღმოსავლეთის გამოცხადება „უბადო სარკედ“, რათა ევროპამ საკუთარი ანარეკლის უპირატესობა იჩვენოს.

„ნუთუ არ არსებობს სხვა გზა ურთიერთობისა?“ (ამ კითხვას დიდი აღმოსავლელი სვამს - კობო აბე).

მე მესმის, როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით, ევროპის პრეზენტაციისა და ფურტურისა. ეს გზა აუცილებელია. აშკარაა, როგორც არ უნდა დამთავრდეს ომი, წინა აზიაში ევროპა შემოადგებს კარებს. ჩვენ ვიზამთ ამას. მაშინ იქნება ნამდვილი რენესანსი“.

ალექსანდრე მანველიშვილი: „ევროპის თანამედროვე ცივილიზაცია უპირატესად მშრალი გონების პროდუქტია. ევროპამ შექმნა კულტი მატერიისა. აქ გაიცნო ცხელი სულიერი ცხოვრება თავისი შინაარსით. შეიცვალა მორალის შემცვლელი. ამიტომ არმოსავლელ ადამიანს ვერ გაუგია ევროპიელის სულიერი ცხოვრების რეფლექსოლოგია. ვინ იყის, ჩვენი ისტორიული არსებობის საიდუმლოება სად არის დამარხული. იქნებ ქართლის მდიდარ ანტიკურ და თეატრალურ საიდუმლოებათა ლაბირინთში იყოს გამოქვეყნებული, იქნებ ბაზალეთის ტბაში დაძინებული ყმა ქართლოსისა გიორგი სააკაძის და ალექსანდრე ბატონიშვილის სამარხებში ხედავს მის დამამშვენებელ აზვანს“.

ნიკოლო მიწეშვილი: „ყველაფერი, რაც ხდება დღეს ევროპის საქართველოში შემოსვლისთვის, არის უნიჭო და უპატიოს განმეორება ძველის. ამას გადავტანთ წასული ოცი საუკუნე... იქ, სადაც მლანუარის მალაზია ლუგის მუხეზად ეჩვენება, შაითან-ბაზარი პოეზიის ბეთლემად და პოეზიის ყნოსვა ხარჩობე ვითარდება, შეუძლებელია იქნეს მიღება და გავება ჭეშმარიტი პოეზიისა“.

ვახტანგ კოტეტიშვილი: „აზიაში მყოფნი, ევროპი-



ქართველოში. არჩიზალი ამაყია. აქ მისი პატრიარქალური, არისტოკრატიული წარსული ელოდება.

რელოლო ვარმანა რობაქიძეს „ძველთაძველი“ უწოდა. თვლის, რომ რობაქიძის სამშობლოს - საქართველოს ფესვები აქვს გადგმული ატლანტურ სამყაროში, რომ საქართველო ატლანტელთა სულიერი, ცოცხალი ნაშთია. რობაქიძეს, როგორც ჭეშმარიტად „ძველთაძველს“, თავისი დასავლურ-აღმოსავლური შემეცნება მოაქვს დასავლეთ ევროპაში თავისი სამშობლოდან.

თუ დასავლეთი



და მაინც: აღმოსავლეთი თუ დასავლეთი?..

კონსტანტინე გამსახურდია: „ქართველების სისხლს და საქართველოს კიდევ დიდხანს დასჭირდება დაწმენდა იმ ბალასტისგან, რომელიც შემოიჭრა ჩვენს სხეულში და სულში აღმოსავლეთის პასიურობისა და აზიური ინერტულობის სახით. ჩვენი პასიურობა, ჩვენი ელასტიურობა ჩვენივე მონობის ხარკი იყო მუდამ“.

გერონტი ქიქოძე რადიკალური ევროპეიზმის მომხრეა. როდესაც პოტენციურ შესაძლებლობაზე საუბრობს, ერთადერთ სწორ გამოსავალს ჩვენი ქვეყნის და ევროპის ზღუდეებს გარეშე, საზღვრებგარეშე ურთიერთობაში ხედავს. არვითარ კომპრომისი!

ცნობილია, რომ დასავლური ცნობიერებისთვის არსებითია ინდივიდუალური მომენტი. აღმოსავლურისთვის კი განფენილობა და მოლიანობასთან შერწყმულობა.

ჩახვალ, ინანებ, არ ჩახვალ, ინანებ... დასავლეთი თუ აღმოსავლეთი?..

გერონტი ქიქოძე: „ამის შესახებ გუშინ შეიძლება ვამბოთ, გუშინ კიდევ მოიპოვეთ ადამიანები, რომელნიც უარყოფდნენ ევროპის კულტურულ მემკვიდრეობას. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ევროპულმა კულტურამ უცილობლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა. ჩანს, ჯერ კიდევ არ მოტეხილა, როგორც ერთ დროს ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია მოტყდა. ჩანს, ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს არაჩვეულებრივი მოქნილობა, არაჩვეულებრივი ნიჭი გაახალგაზრდავება-განახლებისა.“

ვახტანგ კოტეტიშვილი: „დღეს ყველა ევროპეოლოგის ციფ-ცხელებამ შეიპყრო. ყველას უნდა მინოკლის შეფერება. სენი მძლავრი აღმოჩნდა. იმდენად მძლავრი, რომ გავების უნარი დაგვიკარგა. თვალაკრულმა ევროპამ აზიელობა ველურობის სინონიმად გამოაცხადა. აპლოდისმენტებით შეხვდნენ. გაევროპელებამ ფსიქოზის ხასიათი მიიღო. ევროპამ შეგვპადა და, ალბათ, ჩაგვპლის კიდევ, თუ ასე გაგრძელდა“.

კონსტანტინე გამსახურდია: „ჩვენი ისტორიის ტრადიცია იყო ჩვენი მარტოობა. ბედმა პირში მიგვცა ფანატურ აღმოსავლეთს. საუკეთესო ენერჯია და სისხლი შეეწირეთ. ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ, მუდამ მამველებს ეძებდნენ და გამოხმებულობა მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეგებში იხატებოდა. დღესაც მარტოა ქართული რასა“.

ტიციან ტაბიძე: „მომაველ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი

დან ვუმხერდით აზიას. ამიტომ ჩავვიყენა შემოქმედება. მკვდარმა მიმბაძელობამ კი დაგვასწულა. მხოლოდ დიდი სიმაღლიდან გამოჩნდება აღმოსავლეთის რთული და ღირსაცნობარი ცხოვრება. ევროპის უდიდესი რომანტიკოსები, გოეტეს მთავრსარდლობით, ფიქრით მაინც აღმოსავლეთისკენ მოემართებოდნენ. ვილაყები კი გარბოდნენ აქედან თავჩაღუნულნი. ახალი თაობა ისევ აზიის გზა-შარას უნდა გაუდგეს. აქეთ არის შოთას სასახლე, რუმის ლურჯი ბაღი და შაფიზის მინარეთი... ან სად იყოღენ ასეთი ღრმა სევდიანობა ან ასეთი მწვევი ფიქრი და თავდავიწყებით ჭვრეტა, როგორც აღმოსავლეთში? საქართველო აზიაში თვლემს. აზიაში დაგვიდამდა და აზიაშივე უნდა ველოდოთ ჩვენი ხელოვნების დილას. დევობი: უკან აზიისკენ, წინ წასავლელად. მაგრამ ჩინეთის კედლები კი არა, ქართული დარბაზობა“.

ტიციან ტაბიძე: „აზიას არაფერი დაემყვება. მისი ნიდაგი ამოშრა. ახალი ქვეყნის და რევოლუციის პირველი მერიდიანი პარიზია“.

პაოლო იაშვილი: „საქართველოს მერე უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი“.

გერონტი ქიქოძე: „თუ აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს ამით აიხსნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანას და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი მუნებრივი ზღუდეები იყო აღმართული“.

ტიციან ტაბიძე: „საქართველო არსოდეს აღარ გაიხედავს უკან. ქართული პოეზიამ დატოვა მუხამაზის გზა. საქართველომ პირველმა მოიგონა ფოლადის გადაღება. ფოლადის სიმტკიცით სჭედდა ის თავის ნეზისყოფას. აზია ვერ გაუძლებს ამ ცეცხლის სამსჯავროს. მხოლოდ საქართველოს ბედია იყოს სალამანდრა. საჭიროა გამეორება პრომეთეს ცეცხლისა და რკინისა. პირველი ხმა - ხმა პოეტისა - აზიის უარყოფა“.

გამსახურდია რობაქიძის „ველის პერანგის“ პერსონაჟი არჩიზალ მეკვი, იგივე არჩილ მაყაშვილი, რომელიც ინგლისიდან საქართველოში მზუნდება. ეს გზა ევროპიდან საქართველომდე აღიქმება, როგორც კონცეპტი, როგორც მეტაფორა. გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მოემართება. ეს დინამიური მოდელია. რობაქიძისთვის დასავლეთი და აღმოსავლეთი არ არიან ანტაგონისტურად დაპირისპირებული ცნებები. გაინგლისურებული არჩიზალ მეკვი მსხვერპლის გარეშე უზრუნდება ეროვნულ საწყისებს. ხდება არჩილ მაყაშვილი. ის არ ანადგურებს თავის ევროპულ წარსულს. თან მოაქვს სა-

გნივთლ რობაქიძის სიტყვა ევროპის დღევანდელს: „ძვირფასო სტუმარო, ჩვენი შეხვედრა არ არის შემთხვევითი მოვლენილი. ორიათასი წელი ქართველი, მუხებით დაუდევარი, გელოდით თქვენ - რჩეულ შეიღებს დასავლეთისას. ჩვენში იყო ანთემული ხილვა აღმოსავლური... ჩვენ გამოვიარეთ ცხელი ველები ქალღვასი და კავკასიონის მანელებელ კალთებს შევაფარეთ თავი. იყო იმთავითვე ჩვენს რასიულ ტემპერამენტში რაღაც უცნაური, რომელიც ვერ ეგუებოდა აღმოსავლურს მოდუნებას. ჩვენი ხასიათის რკინიული აღმეწევი ვერ ეთვისა საბოლოოდ მოთენთვას და მოშვებული აღმოსავალს ჩვენ მივიღტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ... მაგრამ ჩვენ მუდამ გვექონდა ტრაგედია გეოგრაფიის. მონოლოლურმა უნდომ, აღმოსავლეთით მოვარდნილმა, სასტიკი მახვილით გაწყვიტეს წელი... ჩვენ შევჩერდით შუა გზაზე. აღმოსავლეთს მოვცილდით და ვერც დასავლეთს ვეზიარეთ. მრავალი საუკუნე ვიტანჯეთ ჩვენ, შუა გზაზე ყოფნით.“

გერონტი რობაქიძე: „გვაქვს შესანიშნავი არქიტექტურა, საცა ძველი ქართველის ნებისყოფაა აზართული ურყევი და მტკიცე. გვაქვს თვალისმომჭრელი ფრესკები, საცა ქართველთა თვალთა სიზმრებია ასახული მზიურ ხაზებით; გვაქვს ქართული ტაძარი, რაიცა მუნჯი ქვეების ლოცვებითა შეკრული. გვაქვს ქართული სიმღერა, უცნაური და ლამაზი... მევი რამ სხვაც გვაქვს. გვაქვს კიდევ ისეთი რამ, რომლის სადარი ძვირად თუ სადმე მოიპოვება. ეს არის ქართული სიტყვა. თავმდეში ამისა რუსთაველია მგესანი. საქართველო საიდუმლო უღელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის. ჩვენ ვიწვით აღმოსავლეთის გზებზე ფიქრმორეულნი. ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქსი და გვანცვიფრებს პარიზის ქიშკია. ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს... და ნადიმი იგი მთავარი პანჯია ჩვენი ნაჭედი სიტყვისა. ხშირად და ხშირად შეგვიშალეს უდარლო ლხინი და ცხადია, თავისთავად არც ქართული სიტყვა თქმულა ჯერ უკანასკნელი. საქართველო დადგინდება თავისთავად და ეტყვის მსოფლიოს თავის ნამდვილ სიტყვას“.

პეილოგი

„ძართული ავანგარდი“ - კრებული, გამოცემული ვენეციის უნივერსიტეტში, არის მეოცე საუკუნის ტფილისის ავანგარდის კომპლექსური შესწავლის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ცდა. მონაწილეობენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები. ამ ევროპული გადასახედიდან საქართველო მოიარება, როგორც ხიდი დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებს შორის. ესთეტიკური თეორიები, რომელიც ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების წილში იშვა, არასოდეს ყოფილა ისტორიული სინამდვილისგან იზოლირებული. მსოფლიო არეალთან მიახლოებისას ქართველს ყოველთვის ახლდა საკუთარი სახის დაკარგვის, სხვასთან უსახლო შერწყმის შიში. ამიტომ ისტორიული ბედის უშუალო თუ ფარული მონაწილეობა ქართული კულტურის ორივე ორიენტაციისა, აღმოსავლურში და დასავლურშიც, ევროპულშიც და აზიურშიც საფუძველთა საფუძველად აღიქმება. ევროპულ-აზიური ორიენტაციის განსაზღვრა, სწორედ ამ საფუძველედან უნდა დავიწყეთ, ანუ მივზღ-შედგევოზივი კავშირებიდან. ანა როგორც კულტურათა გამოყოფი ზღვარი, არამედ „ხიდი აზიურ და ევროპულ ცივილიზაციებს შორის“... და მაინც, ქართული მეტალოგისთვის განსაკუთრებული, როგორც ინდივიდის, ინდივიდუალიზმის გამოხატვეული ევროპელის კონკრეტული სახე... რადგან სამივე ორიენტაციის: ევროპულის, აზიურის და სინთეზურ-ევრო-აზიურის ადვანტა არგუმენტაციები ეროვნული ინდივიდუალიზმის, ანუ საკუთარი სახის და ვინაობის გადასარჩენად გახლდათ გამოხეული.

ნიკო სოფარიანი


ბარდაძენის დროინდელი პარიანტი (დაბატავული ტიპისტი გამოყოფილია კურსივით):

მიხეილ ნიკოლოზის ძე უკანასკნელად მე 1931 წელს ვნახე პარტიულ აქტივზე, სადაც ის აკეთებდა მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე. მ.ნ. ტუხაჩევსკი დამაჯერებლად ლაპარაკობდა ჩვენი სახელმწიფოს მზარდ სიძლიერეზე, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის ფართო პერსპექტივებზე და კულტურის აყვავებაზე, როდესაც ლაპარაკობდა ჩვენი ბოლშევიკური პარტიის როლის შესახებ ახალი სახელმწიფოს და არმიის მშენებლობაში, მიხეილ ნიკოლოზის ძემ თბილად გაიხსენა ვ.ი. ლენინი, რომელსაც ის მრავალჯერ შეხვდა და ერთადაც უმუშავიათ. მე მაშინ გამოაცხადე იმან, რომ მას თითქმის არაფერი უთქვამს სტალინზე. ჩემ გვერდით მჯდომმა წითელი არმიის კავშირგაბმულობის ჯარების უფროსმა, ძველმა ბოლშევიკმა-იატაკეველმა პოდპოლკოვნიკმა რ.ვ. ლონგვამ მითხრა, რომ ტუხაჩევსკი არაა მლიქვნელი, ის არ შეაქვს სტალინს, რომელმაც უსამართლოდ დასდო ბრალი ტუხაჩევსკის ჩვენი ჯარების წარუმატებლობაში ოპერაცი-აში ვარშავასთან.

ამ ტექსტის წამკითხველმა უნდა გაიგოს, რომ სტალინმა მოახდინა ტუხაჩევსკის ლიკვიდაცია არა სამხედროების რეალურ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის, რაც მან უმაღლეს და უსიტყვოდ აღიარა, არამედ იმიტომ რომ თითქმის რაკი სტალინზე არაფერი უთქვამს მოხსენებაში. ნუთუ უუკოვს ისე უყვარდა ტუხაჩევსკი, რომ გაიხსენა ძველი ბოლშევიკის ლონგვას სიტყვები, რომლის გვარიც დღეს არავისთვისაა ცნობილი?

ბარდაძენის დროინდელი პარიანტი (დაბატავული ტიპისტი გამოყოფილია კურსივით):

მოგვიანებით, როდესაც 1936 წელს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიის მე-2 სესი-აზე გამოდიოდა, მ.ნ. ტუხაჩევსკიმ კვლავ მიაცხადა ყუ-რადლება მოსალოდნელ სერიოზულ საფრთხეს ფაშის-ტური გერმანიის მხრიდან. თავისი მკაფიო, პატრიო-ტული სიტყვა მან განამტკიცა გერმანიის შეიარაღე-ბის სერიოზული ანალიზითა და ციფრებით და მისი აგრესიული მისწრაფებებით. მაგრამ მ.ნ. ტუხაჩევს-კის ხმა დარჩა „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა ში-გან“, თავად მასზე კი ეჭვი მიიტანეს ბოროტი განზ-რახვის პირებმა, რომ-ლებმაც, მიხეილ ნიკო-ლოზის ძეზე სიცრუით, ბრალი დასდეს მას მტრულ და ბონაპარ-ტისტულ განზრახვებში და ის ტრაგიკულად და-იღუპა 1937 წელს. კავა-ლერიის ინსპექციამ დი-დი სამუშაო შესარულა კავალერიის ნაწილები-სა და შენაერთების ორ-განიზაციის, შეიარაღე-ბის სისტემისა და ბრძ-ოლების წარმოების ხერხების გადასინჯვის-თვის.



მარშალი ტუხაჩევსკი

კვლავ ვხედავ სურ-ვილს, როგორღაც შე-მოვლით ბრალი დას-დოს სტალინს „უდანაშა-ულო“ ტუხაჩევსკის სიკ-ვიდში, რომელიც წარ-მოთქვამს მკაფიო და პატრიოტულ სიტყვებს, ციფრე-ბით რომაა დადასტურებული. დასკვნა, რომელიც უნდა მომწიფდეს მოუმზადებელი მკითხველის თავში, ასე-თია: სტალინი ხოცავდა აშკარა პატრიოტებს. ეფექტის გასაძლიერებლად იყენებენ სიტყვათშეხამებას „აყვა-ნილია ეჭვქვეშ ბოროტი განზრახვის პირების მიერ“, რომლებიც შემდგომ ცილს სწამებენ ტუხაჩევსკის და ლუპავენ მას. ვინ არიან ეს ბოროტი განზრახვის ადა-მიანები? ნუთუ მთელი შინაგომი? არა, აქ დასკვნა თავად წარმოგვიდგება. ესაა — მკრთალი უფერული პიროვნება სტალინი, რომელსაც არ სურს, დაუთმოს ხელისუფლება ნათელ და პატრიოტულ ტუხაჩევსკის.

თავი 7. გამოუხსნაღებელი ომი ხალხინ-გოლზე

გიორგი კონსტანტინეს ძემ გააკეთა უმნიშვნელო-ვანესი საქმე — შეძლო, გაენადგურებინა იაპონელე-ბი 1939 წლის ზაფხულში და ამით ჩაშალა იმის შესაძლებლობა, რომ ერთდროულად თავს დასხმოდნენ ჩვენს ქვეყანას ორი მხრიდან: გერ-მანიისა და იაპონიის მხრიდან. იაპონიის არ-მიის განადგურებამ, რაც ყუკოვმა განახორ-ციელა, არა უბრალოდ მოხსნა დაძაბულობა ჩვენს შორეული აღმოსავლეთის საზღვარზე — მან შეცვალა მთელი გეოპოლიტიკური სი-ტუაცია მსოფლიოში. პიტლერმა საბოლოოდ გადამწყვიტა, დაედო შეთანხმება თავდაუსხმე-ლობის შესახებ მოსკოვთან და არ დაჰყვა ცდუნებას, დაერღვია იგი ლონდონისა და პა-რიზის ზემოქმედებით უკვე პოლონეთის გა-ნადგურების შემდეგ. ამიტომ იყო ყუკოვი დღის გმირი იმ დროის სსრ კავშირში. აი რო-გორ „აღწერს“ ყუკოვი თავის შეხვედრას სტა-ლინთან. პირველ შეხვედრას, სხვათა შორის.

ნიკოლოზ სტალინი
ცილდაწამებული
გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



თავდაპირველად მიდის დანვრილებითი საუბარი მომხდარი ბრძოლების, იაპონიის არმიის, მისი შეი-არალების შესახებ. სტალინი იძლევა ბევრ შეკითხვას. ყუკოვი დასაბუთებულად უპასუხებს. ნუ გადავტვირ-თავთ მკითხველს ამ საუბრის წვრილმანებით — პირ-დაპირ გადავიდეთ მის დასასრულზე. ყუკოვის სტა-ლინთან საუბარი, როგორც ეს მეშუარებშია აღწერი-ლი, მარშლის სიცოცხლეში რომ გამოვიდა, იოსებ ბე-სარიონის ძეს წარმოაჩენს ნიჭიერ ხელმძღვანელად.

ბარდაძენის დროინდელი პარიანტი (დაბატავული ტიპისტი გამოყოფილია კურსივით):

„1940 წლის მაისის დასაწყისში მე მივიღე ბრძანება მოს-კოვიდან — გამოვცხადე სახალხო კომისარიატიში სხვა თა-ნამდებობაზე დანიშნისათვის. იმ დროისათვის გამოქვეყ-ნებული იყო მთავრობის დადგენილება წითელი არმიის უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობისთვის გენერლის წოდებების მინიჭების შესახებ. სხვებთან ერთად მეც ასევე მომანიჭეს არმიის გენერლის წოდება...“

როდესაც სასტუმრო „მოსკოვი“ დავბრუნდი, იმ ლა-მეს დიდხანს ვერ დავიძინე, ვიყავი ამ საუბრის შთაბეჭდი-ლებების ქვეშ. ი.ბ. სტალინის გარეგნობამ, მისმა დაბალიმა ხმამ, მსჯელობათა კონკრეტულობამ და სიღრმემ, გაცნო-ბიერებამ სამხედრო საკითხებში, ყურადღებამ, რომლითაც უსმენდა მოხსენებას, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდი-ნეს. თუ ის ყოველთვის და ყველასთან ასეთია, გაუგებარია, რატომ ვრცელდება დაჟინებითი ხმები მასზე, როგორც სა-შინელ ადამიანზე. მაშინ არ მინდოდა, ცუდი დამეჯერებო-ნა“.

როგორ შევცვალეთ დადებითი შთაბეჭდილება სა-პირისპიროზე? ორი წინადადების დამატებით. ჩვენ-თვის უცნობი „მხატვრის“ ფუნჯის მხოლოდ ორი მოს-მა — და სურათი ძირფესვიანად იცვლება. სტალინი უკ-ვე საშინელი ადამიანია, ხოლო დადებითი შთაბეჭდი-ლება, რასაც ის რეალობაში ყოველთვის ახდენდა ყვე-ლა მეშუარისზე — უბრალოდ, ტყუილია. აი, ასე აყალ-ბებენ ისტორიას. პრინციპი მარტივია — თუ თავლის კასრს დაუშვამებთ მხოლოდ ერთ კოვზ კუპრს, გა-მოვს კუპრის კასრი. ასე ცდილობდნენ, მოპყრობოდნენ მარშალ ყუკოვის მეშუარებსაც.

თავი 8. კონევის სარღობა განსაკუთრე-ბულ სამხედრო ოლქში

იმდენად, რამდენადაც ამ თავში მოახდინეს დიდი მონაკვეთის გაყალბება, ჩვენ მას ანალიზისთვის რამ-დენიმე ნაწილად დავყოფთ. კურსივი ყუკოვის რეა-ლურ მეშუარებთან „დესტალინიზატორების“ ჩამატე-ბებს გვიჩვენებს.

ბარდაძენის დროინდელი პარიანტი (დაბატავული ტიპისტი გამოყოფილია კურსივით):



შუქოვი ხალხინ-გოლზე ნალაფარ ქვეყნებში

ტიპისტი გამოყოფილია კურსივით):

თათბირის შემდეგ მეორე დღესვე უნდა გამართული-ყო დიდი სამხედრო თამაში, მაგრამ ჩვენ მოულოდნელად სტალინთან გამოგვიძახეს. ი.ბ. სტალინი საკმაოდ გულცი-ვად შეგვხვდა, მოგვესალმა ძნელად შესამჩნევი თავის დაქ-ნევით და შემოგვთავაზა, დავმსხდარიყავით მაგიდასთან. ეს უკვე აღარ იყო ის სტალინი, რომელიც ვნახე ხალხინ-გოლიდან დაბრუნების შემდეგ. ი.ბ. სტალინის გარდა მის კაბინეტში იყვნენ პოლიტიურის წევრები. ი.ბ. სტალინმა დაიწყო იმით, რომ მთელი ღამე არ უძინია, კითხულობდა ს.კ. ტიმოშენკოს დასკვნით გამოსვლის პროექტს უმაღლე-სი სარდლობის თათბირზე, რომ მასში თავისი შესწორე-ბები მიეცა. მაგრამ ს.კ. ტიმოშენკომ იჩქარა, დაეხურა თათ-ბირი.

— ამხანაგო სტალინ, — შეეცადა ტიმოშენკო, წინააღმ-დეგობა გაენია მისთვის, — მე თქვენ გამოგვიხანეთ თათ-ბირის გეგმა და ჩემი გამოსვლის პროექტი და მეგონა, რომ თქვენ იცოდით, რაზე ვილაპარაკებდი შედეგების შეჯამე-ბის დროს.

— არ ვარ ვალდებული ვიკითხო ყველაფერი, რასაც მიგ-ზავნიან, — აღელდა ი.ბ. სტალინი.

ს.კ. ტიმოშენკო გაჩუმდა.

— როგორ შევესწოროთ ტიმოშენკოს? — მიმართა ი.ბ. სტალინმა პოლიტიურის წევრებს.

— უნდა დავავალოთ ტიმოშენკოს, უფრო სერიოზულად გაერკვეს თქვენს შენიშვნებში თვისებებთან დაკავშირებით, და მათი გათვალისწინებით, რამდენიმე დღის შემდეგ წარ-მოადგინოს პოლიტიურში ჯარებისადმი დირექტივების პროექტი, — თქვა ვ.მ. მოლოტოვმა. ამ აზრს მხარი დაუჭი-რა პოლიტიურის იქ მყოფმა ყველა წევრმა.

ი.ბ. სტალინმა ს.კ. ტიმოშენკოს შენიშვნა მისცა იმის-თვის, რომ მან დახურა თათბირი, არ გაიგო მისი აზრი სახალხო კომისრის დასკვნითი გამოსვლის შესახებ.

— როდის დაიწყება თქვენთან სამხედრო თამაში? — შე-ეკითხა ის.

— ხვალ დილით, — უპასუხა ს.კ. ტიმოშენკომ.

— კეთილი, ჩაატარეთ იგი, მაგრამ ნუ გაუშვებთ სარდ-ლებს. ვინ თამაშობს „ცისფერ“ მხარეს, ვინ — „წითელს“?

— „ცისფერს“ (დასავლეთისას) თამაშობს არმიის გენე-რალი ყუკოვი, „წითელს“ (აღმოსავლეთისას) — გენერალ-პოლკოვნიკი პავლოვი.

კრემლიდან ყველა ჩვენგანი დათრგუნული განწყო-ბით ვბრუნდებოდით. ჩვენთვის გაურკვეველი იყო სტა-ლინის უკმაყოფილება. ის მკვეთრად და უხეშად ლა-პარაკობს, რის ნებას ის არასდროს აძლევდა თავის თავს. აქ კი თურმე აღმოჩი-ნდა — სამხედროები სტა-ლინისგან ბრუნდებიან დათრგუნული გრძნო-ბით. მაგრამ რატომღაც სტალინის მარშლებიდან არავის მსგავსი არასდ-როს დაუწერია. პირიქით, ისინი მას მეტად თბილად იხსენებდნენ.



მარშალი ტიმოშენკო

ბარდაძენის დროინ-დეული პარიანტი (დაბა-ტავული ტიპისტი გამო-ყოფილია კურსივით):

სტალინმა დააყენა წინა-დადება, საერთო განხილვა მოეწყო კრემლში, სადაც მისი გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა, ოლქების ჯა-რების სარდლები და მათი შტაბების ხელმძღვანელობა, ოლქების ჯარების სარდლები და მათი შტაბების უფრო-სები. ი.ბ. სტალინის გარდა ესწრებოდნენ პოლიტიურის წევრები. თამაშის მიმდინარეობის შესახებ მოხსენებას აკე-თებდა არმიის გენერალი კ.ა. მერეცკოვი. სტალინის სამი-ოთხი სხვადასხვა რეპლიკის შემდეგ მან დაიწყო გამეორე-ბები, დაიწყო შეჩერებები. კ.ა. მერეცკოს მოხსენება აშკა-რად არ გამოუდიოდა. მოულოდნელად და მხარეების გადამწყ-ვეტილებათა შეფასებებში მას უკვე აღარ ჰქონდა ლოკა.

როდესაც დაასახელა მონაცემები მხარეების ძალთა შე-ფარდებისა და „ცისფერთა“ უპირატესობის შესახებ თამა-შის დასაწყისში, განსაკუთრებით ტანკებსა და ავიაციაში, ი.ბ.-მა, გულნატკენმა „წითლების“ წარუმატებლობის გამო, გააჩერა ის და განაცხადა:

— საიდან იღებთ ასეთ შეფარდებას? ნუ დაივიწყებთ, რომ ომში მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ არითმეტიკულ უმრავ-ლესობას, არამედ მეთაურებისა და ჯარების ხელოვნებასაც.

კ.ა. მერეცკოვმა უპასუხა, რომ მისთვის ეს ცნო-ბილია, მაგრამ ომში ძალეობისა და საშუალებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფარდება ასევე ასრულებს მნიშვნელოვან როლს, მით უმე-ტეს თანამედროვე ომში, რისთვისაც გერმანია დი-დი ხანია, ემზადება და უკვე აქვს მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილება. კიდევ რამდენიმე მკვეთრი შენიშვნის შემდეგ, რომელთა გახსენებაც არ მინდა ი.ბ. სტალინმა იკითხა:

— ვის სურს აზრის გამოთქმა?

გამოვიდა სახალხო კომისარი ს.კ. ტიმოშენ-კო. მან მოახსენა სამხედრო ოლქების სარდლე-ბის, შტაბების უფროსების ოპერატიულ-ტაქტი-კური ზრდის შესახებ, გამართული თათბირისა და სამხედრო-სტრატეგიული თამაშის უქვეყელი სარგებლობის შესახებ.

თარგმნა
ზურაბ ლომიძე

(ბაზრქილება იქნება)

ქართლის მეფეები შაბაზი VI

ქვეყნისა და თუთა გურიელის ასულისა, შვილიშვილი ვახტანგ V-ისა, ქართლის მეფე 1716-1724 წლებში. უფრო ადრე 1703-1711 წლებში ქართლს განაგებდა, როგორც „ჯანიშანი“ (მოადგილე) ირანში გაწვეული ქართლის მეფეების გიორგი XI-ისა და ქაიხოსროსი. თავი გამოიჩინა, როგორც დიდი კულტურული და საგანმანათლებლო აღმშენებლობის თავკაცმა. დააარსა პირველი სტამბა. პირველმა დაბეჭდა და გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, საღვთისმეტყველო და საერო წიგნები. მის მიერ შედგენილ-



მა სწავლულ კაცთა კომისიამ მოახდინა „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება. ვახტანგმა დაწერა „წიგნი სამართლისა“ და „დასტურებალი“. იყო შესანიშნავი პოეტი. აშენებდა მონასტრებს, ქალაქებს, სოფლებს, ხიდებს, ქარვასლებს, სარწყავ არხებს, აკრძალა ტყვეთა სყიდვა. 1707 და 1711 წლებში ორჯერ ილაშქრა ოსეთს, დაიმორჩილა და დახარკვა, დაანგრია იქაური 80 ციხე.

ირანის შაჰმა ვახტანგის ქართლის მეფედ დამტკიცების პირობად მისი გამაჰმადიანება წამოაყენა. ვახტანგმა უარი თქვა, მაშინ შაჰმა ვახტანგის იფაჰანში დატოვა, ქართლის მეფედ კი მისი ნახევარძმა, გამაჰმადიანებული იესე ალი-ყული-ხანი გამოუშვა. ვახტანგი სპარსეთში 4 წელიწადი დარჩა. მან სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში გაუშვა, იქნებ რომის შაჰმა და საფრანგეთის მეფემ შაჰი აიძულონ, რომ რუსულ-შუუცვლელად ავიდნენ ქართლის ტახტზე. როცა ეს მოლოდინი გაუყუდა, გაათარებდა დათანხმდა, სახელად შუსეინ-ყული-ხანი მიიღო. სპარსეთის საომარ ძალთა მთავარსარდლად, თავრახიზსა და ბარდის მეგლარებგად დაინიშნა. 1716 წელს კი იწყება ვახტანგ VI-ის მეფობა.

ვახტანგის მეფობის წლებში ხშირდება ლეკთა შემოსევები. საჭირო იყო ქართლისა და კახეთის ერთობლივი ძალების შექმნა. ამ დროს კი ვახტანგ ქართლის მეფე და დავით კახეთის მეფე ერთმანეთს მტრობდნენ. ამ დროს რუსეთს, პეტრე I-ის საიმპერატორ-ის კარს თავისი პოლიტიკური ინტერესები გაუჩნდა კავკასიაში, სადაც მოკავშირედ ერთმორწმუნე ქართველობა ეგულებოდა, ვახტანგიც რუსეთის იმპერატორს მესიად მიიჩნევდა. 1721 წელს დაიღო კიდევ რუსეთისა და ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რაც ირანის წინააღმდეგ ერთობლივ ომს ითვალისწინებდა.

ქართველი მეფისთვის „სანატრელი ომი“ დაიწყო კიდევ, მაგრამ არ განვითარდა და მალე შეწყდა. საერთოდ ვახტანგმა შეიტყო მთავარი: რუსეთ-თურქეთის შორის დაიღო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთმა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, განსაკუთრებით საქართველო, თურქეთის საკუთრებად ცნო. ვახტანგმა ამაოდ სცადა თურქეთთან შერიგება. მათ ქართლის მეფედ იესე გამოაცხადეს. ქართლი ოსმალებით ივსებოდა.

ვახტანგმა ოჯახითა და 1200 რჩეული ქართველით საქართველო მიატოვა და რუსეთს გაიქცა.

გარდაიცვალა 1737 წელს, დაკრძალეს ასტრახანში.

გაბრიელაძე, დავითიძე. №236, 241 (2016), №2, 8, 20-21, 33, 67, 74-75, 88, 93.

თეიმურაზ II

უმცროსი ძე ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანისა, უმცროსი ძმა კახეთის მეფის დავით იმამყული-ხანისა, ქართლის მეფე 1744-1762 წლებში. ცოლად შეირთო ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ასული თამარი, რომლისგანაც 1720 წელს შეეძინა უკანასკნელი დიდი ქართველი ხელმწიფე ერეკლე II. 1722 წელს დავითი გარდაიცვალა და შაჰმა სულთან შუსეინმა მეფობა მის მომდევნო ძმას კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანს მისცა. 1732 წელს კონსტანტინე საქართველოში გაბატონებულმა ოსმალებმა მოკლეს. 1733 წელს ოსმალო ისაყ ფაშას ნებით, კახეთის მეფედ თეიმურაზი გამოცხადდა.

თეიმურაზმა გამეფებისთანავე მრძოლა გაუმართა თვითონ თურქ-ოსმალოებს. შეილიც წამოუზარდა – ერეკლე, „პატარა კახი“, უმამაცესი მეომარი და სარდალი. ახლა მამა-შვილი ერთად ებრძოდნენ ოსმალებს, ლეკებს.

ირანში ნადირ შაჰი ავიდა ტახტზე და ოსმალებთან ომში თეიმურაზი და ერეკლე გაიხადა მოკავშირედ. 1735 წელს „ოსმალომა“ გათავდა და „ყიზილბაშობა“ დაიწყო საქართველოში. 1737 წელს ნადირ შაჰმა ყანდაჰარში ლაშქრობაში იახლა თეიმურაზი, მომდევნო 1738 წელს კი ერეკლე ბატონიშვილი – ინდოეთს ლაშქრობაში. მოზრუნებისას შაჰმა ქართლს დაუბრუნა მისი სამხრეთი ნაწილები: ადრე შაჰ აბასისგან წართმეული დემედის ხეობა, ლორე, ბორჩალო და ბაილანი. 1744 წ. შაჰმა ნება დართო თეიმურაზი ქართლში და ერეკლე კახეთ-

რკენი მირონსხაბული ხელმწიფე

ში კურთხეულიყვენენ, როგორც ქრისტიანი მეფეები. 1747 წელს ნადირ შაჰი მოკლეს. ირანის ტახტზე ავიდა ადილ შაჰი, რომელსაც ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ასული „მზისა სადარი“ ქეთევანი. 1748 წელს ადილ შაჰი ძმამ იზრაჰიმმა მოკლა, შაჰიც გახდა და ქართველი რძალიც შეირთო. 1749 წელს მაჰმად ხანი სომხეთში შეიჭრა. თეიმურაზი და ერეკლე შეეზნენ, მაჰმად ხანი სასტიკად დაამარცხეს, ერეკლე კი თავიანთ სამფლობელოს შეუერთა. 1750 წელს ყარაბაგიდან ფანა-ხანი შემოიჭრა შაჰ-შვილმა ფანა-ხანი გაანადგურეს და ერთხელ და სამუდამო შემოიჭრეს ვანჯა, ყარაბაგი, ყახაზი, ნახიჭევანი და ერევანი.

1758 წ. გორში დიდი სამეულის – თეიმურაზ II, ერეკლე II და სოლომონ I-ის კავშირი შეიკრა. დაამტკიცეს, „რომლისაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველენით“. მაგრამ მუსლიმანურ გარემოცვაში მყოფი სამივე მაინც მხოლოდ რუსეთის მომხრე იყო. 1780 წელს თეიმურაზ II რუსეთს გაემგზავრა. პირადად შეხვდა რუსთა ხელმწიფეს ელისაბედ პეტრეს ასულს. სთხოვა ჯარით ან ფულით მიიხრებინებინა, რათა ქართველებს ლეკები საბოლოოდ აელაგმათ, ირანში წარმატებით



შესულიყვენენ და იქაურ ტახტზე რუსებისა და ქართველებისათვის სასურველი შაჰი დაესვათ. ეს აჯანყება ამაო გამოდგა: რუსეთი შედგრილ ომში იყო ჩათრეული და „სამხრეთული საქმეებისთვის“ არ ეცალა. 1762 წ. 8 იანვარს პეტერბურგში უცრად გარდაიცვალა. თეიმურაზი – ღირსეული მეფე, შესანიშნავი პოეტი, მამაცი მხედარი და მხედართუფროსი. გამეფდა 44 წლისა, იმეფა 18 წელი, აღესრულა 62 წლისა, დაკრძალეს ასტრახანს, ვახტანგ VI-ის გვერდით.

კახეთის მეფეები გიორგი I

იხილეთ „ერთიანი საქართველოს მეფეები“ – გიორგი VIII

ალექსანდრე I

ქვეყნის მეფე 1476-1511 წ.წ. ცდილობდა, ომს მორიდებოდა და მშვიდობიანად ეცხოვრა ქართულ სამეფო-სამთავროებთან და გარეშე ქვეყნებთანაც. 1477 წ. უზუნ ჰასანის თურქმანულ შემოსევას ძღვენიდა და მორჩილების გამოცხადებით უპასუხა.

ირანთან მშვიდობიანობის უპაიხლოვანად საელჩო-დიპლომატიური მიმოსვლა ჰქონდა მოსკოვის მთავარ ივანე III-სთან. აღექსნდრეს ორი ძე ჰყავდა: გიორგი („ავგიორგი“) და დიმიტრი. გიორგი ქართლის დაპყრობას ლამობდა. მამა და ძმა მკაც-



მობრუნდა. მამის შაჰ ისმაილი კახეთს შემოესია. ლევანმა თავი ირანის მოხარკედ და ქვეშევრდომად ცნო. ირანელებმა კახეთიდან ქართლს გადაინაცვლეს...

1541 წ. ირანის ახალი ხელმწიფე შაჰ თამაზი მიაღწა საქართველოს, ლევან კახთა მეფე თამაზსაც ეახლა, დიდი ძღვენი მიართვა და მორჩილება გამოუცხადა. 1551 წ. შაჰ თამაზმა გაურჩეული შაქის ბატონის დევნაში მაჰმადის დასაჯა დაავალა. ილაშქრა შაქში ლევანმა, შაქის ლაშქარი დაამარცხა, თვითონ დევნილ მაჰმადი ბრძოლაში მოკლეს და მისი თავი შაჰს მიართვის. შაჰმა ლევანს „უყო წყალობა მრავალი“. 1559 წ. სვიმონ ქართლის მეფემ ცოლად შეირთო ლევანის ასული ნესტან-დარეჯანი. მომდევნო 1560 წელს ციხე დიდთან ყიზილბაშთა და ქართლელთა ბრძოლაში დაიღუპა სვიმონ მეფის მხარდამხარ მებრძოლი მისი ცოლისძმა გიორგი ლევანის ძე. ლევანის მეორე ძე იესე (ვახტანგი) ირანში ალაშუთის ციხეში იჯდა. ლევან მეფემ ქვეყნის გადარჩენის გზად რუსეთთან ურთიერთობა აიწვია, 1561 წ. რუსეთის მეფეს ივანე მრისხანეს ელჩობა გაუგზავნა. რუსეთის ხელმწიფეს რუსულ ჯარს სთხოვდა, კიდევ მიიღო და 7 წელი (1564-1571 წ.წ.) იყოლია კიდევ რუსთა ჯარი კახეთში. 1576 წელს ლევანი გარდაიცვალა. ტახტზე ალაშუთის ციხეში ჩამყვდელი იესეს მომდევნო ძმა ალექსანდრე ავიდა.

ალექსანდრე II

ლევანის ძე, კახეთის მეფე 1576-1605 წ.წ. მეფის ზრუნავდა კახეთის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ასამაღლებლად, კულტურული აღმშენებლობისთვის. მტრობდა მეზობელ ქართლს, „ერთეულ ქვეშევრდომობას“ უწევდა ხან ირანს, ხან ოსმალებს. ამ ორმავე თამაშისთვის მუდმივ საფრთხეში იდგა, მერე რუსეთთანაც გააბა კავშირი და 1589 წელს „წყალობის სიგელიც“ მიიღო რუსეთის ხელმწიფე თევდორე ივანეს ძისგან. ალექსანდრეს თინათინ ამილახვრის ასულისგან ხუთი ძე ჰყავდა – ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი. ერეკლე თურქეთში გაგზავნა მამამ საიდუმლოდ და იქვე დაიღუპა. კონსტანტინე ყრობისას ირანის შაჰს წაუყვანა მძევლად და იქ იზრდებოდა გამაჰმადიანებული კონსტანტინე მირზას სახელით. 1601 წ. უფროს ძედ დარჩენილმა დავითმა აიძულა ალექსანდრე, ტახტი მიეტოვებინა და ზერად აღკვეცილიყო, მაგრამ დავითმა ერთი წელიც ვერ იმეფა და გარდაიცვალა, ტახტზე იესე ალექსანდრე მობრუნდა. 1604 წელს შაჰ აბასმა ალექსანდრე კახთა მეფე და გიორგი X ქართლის მეფე ქართული ჯარებით ერევანს გაიწვია იქიდან ოსმალოთა გასაძევებლად. უკან გამოზრუნებულ გამარჯვებულ ალექსანდრეს თან გამოატანა ძე – ირანში გაზრდილი და გათათრებული კონსტანტინე მირზა სპარსული ჯარით. მამა-შვილს, შაჰის ბრძანებით, შირვანს უნდა ელაშქრათ კახურ-სპარსული ჯარებში. 1605 წლის 12 მარტს ქალაქ ძეგამს (აღმოსავლეთი კახეთი) სალაშქრო მოლაპარაკების ატეხილ ჩხუბში კონსტანტინე მირზამ სპარსელთა შემწეობით დახოცა მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი და იქ დაამსწრე კახელი წარჩინებულნი. ალექსანდრე დაკრძალულია ალავერდს.

მომზადდა ალექსანდრე II-ის შესახებ (გაგრძელება იქნება)

© წინ, საქართველო!

23-წლამდელები - პირველი

მართლაც პარამოფარკვე ნინა თიბილაშვილმა წარმატებით იასპარეზა ჰოლანდიის ქალაქ სტადსკანალში გამართულ



23-წლამდელები მსოფლიოს თასის გათამაშებაში. რაპირით ფარეკობაში ჩვენებურმა ჯგუფურ ეტაპზე სუთიდან ოთხ მეტოქეს სძლია, პლეი-ოფში კი ზედიზედ დაამარცხა პოლონელი (15:11), თურქი (15:12), ფრანგი (15:12) სპორტსმენები და მთავარი პრიზი მოიპოვა, ხოლო დაშნით ფარეკობაში მესამე ადგილს დასჯერდა.

ნინა თიბილაშვილი ირმა ხეცურიანთან ერთად უფროსი ასაკის პარამოფარკვეთა შეჯიბრებაშიც მოსინჯავს ძალებს.

გივი გაბუა

© წყალბურთი

2 საზღვრის 5 მაძიებელი

18-წლამდე წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი წლებულს სექტემბერში მოეწეობა და გადამწყვეტ რუნდს მალტა უმასპინძლებს. უკვე ცნობილია რვა ფინალისტის ვინაობა, ხოლო ამდენივეს საკვალიფიკაციო ტურნირები გამოავლენს. ერთ-ერთ შესარჩევს თბილისის მასპინძლობს. საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ ორი საზღვრისთვის საქართველო, საფრანგეთი, კვიპროსი, შვეიცარია და ჩეხეთი იბრძვიან. უკვე ორი ტურის შესვენებები გაიმართა. სტარტზე ტურნირის ფავორიტებმა – საფრანგეთმა და საქართველომ გათამაშების ცხრილში პირველი მოგებები ჩაინერეს. სამფროვნებმა ჩეხებს აჯობეს 16:3 (4:0, 4:0, 3:1, 5:2).

გინა. პერიოდის ბოლომდე დავით ცხაკაიამ კიდევ ორი გოლი გაუტანა შვეიცარიელებს. მეორე რვაწუთიანი მონაკვეთიც მსგავსი სცენარითა და ანგარიშით დამთავრდა. მესამე პერიოდში რევაზ ჩო-




მახიძის შეგირდებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე – 3:0, მეოთხე რვა წუთში მონინალმდეგებმა თითო გოლი გაიტანეს და მატჩი საქართველოს 18-წლამდელებმა 10:3 (3:1, 3:1, 3:0, 1:1) მოიგეს.

გუშინ დღით მეორე ტურის ორთაბრძოლებში საფრანგეთმა კვიპროსს სძლია – 23:3 (2:1, 7:2, 5:0, 9:0), ხოლო შვეიცარიამ ჩეხეთი დაამარცხა – 10:4 (1:1, 4:3, 2:0, 3:0).

შეჯიბრება ხვალ დასრულდება.

ლავა დიდა

© ლეგიონერი



საბერძნეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში აეკ-მა პირველი მატჩი „პანათინაიკოსთან“ სტუმრად 70:80 წააგო. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზე-

დიქსონის მარტვილობა

ბულმა კალათბურთელმა მაიკლ დიქსონმა ათწინურ დებრში 27 წუთში 15 ქულა, 7 მოხსნა და 2 გადაცემა მიითვალა.

მასთან ერთად 10-ქულიანი ზღვარი კიდევ ორმა კალათბურთელმა გადალახა, ეს კი წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. პირველი ტაიმი მაიკლის გუნდმა 4 ქულით მოიგო, თუმცა, მასპინძლებმა გარდატეხა მაინც შეიტანეს. აეკ-ს „პანათინაიკოსისთვის“ 2008 წლის შემდეგ მოგებული ერთი შესვენებაც კი არ აქვს. სერიის მეორე მატჩს აეკ-ი შინ ხვალ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

© ინტერნეტიდან

რა საჭიროა გეჟადი?

თუკი ესპანეთში მობურთალი ფრანგი ბომბარდირი კარიმ ბენზემა აქამდე ოდენ ბურთის კოხტად მგორებელი და მწვანე მინდორზე ოფლის უხვად მდენი ტიპი გეგონათ, ის დროა, საკუთარი შეცდომაც და ისიც აღიაროთ, რომ ბენზემანთ კარიმა საკმაოდ ჭკვიანი და ანგარიშიანი ვინმეც ყოფილა.


წლებია, რაც ამერიკაში, კერძოდ, ფლორიდაში შობილი, ესპანური ფესვების მქონე მოდელი ანა-ლიზა ჩავესი კარიმის მკლავებშია მოქცეული და შეიძლება ითქვას, რომ ეს წყვილი ჭეშმარიტად ცოლ-ქმრული ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ბენზემა ანა-ლისას ცოლად მოყვანას ცოცხალი თავით არ აპირებს.

ბულვარულ მედიასთან საუბრის დროს კარიმი სულ იმას იძახის, რომ სიყვარულს ხელმოწერები და ხელშეკრულებები არ სჭირდება, მაგრამ ცხადია, რომ ანგარიშიანი ბენზემამ კარგად უწყის, ცოლთან განშორების შემთხვევაში რა დავიდარაბაშიც გაეხვევა, ამიტომაც გერლფრენდ-ბოიფრენდობის სტატუსითაც კმაყოფილია.

როსტომ რაჭველიშვილი



© რატრო



„ლამისყანაში აქებენ, არცთუ დაუხვეია... კანდელაკი სანდრო კი, საქართველოს დეგია“, – წერდა თავის ლექსში იეთიმ გურჯი (დაბლიშვილი).

ჩვენს თავგამოჩენილ ფალავნებს ხომ იეთიმის გარდა არაერთი მოლექსე და ხალხოსანი პოეტი ასხამდა ხოტბას...

გამოჩენილი მოჭიდავე-ფალავანი იყო გოგლა ლამისყანელიც (რამაზაშვილი).

მის მამას მიხა რამაზაშვილს ტირიფონის არხის მშენებლობისას ერთი ძლიერი გორელი ფალავანი დაუმარცხებია და წინასწარი პირობის თანახმად სოფელი ლამისყანა ბეგარისაგან გაუნთავისუფლებია. ამ ისტორიას სიამყით ყვებიან თანამედროვე ლამისყანელები...

მამის კვალზე შემდგარ გოგლას არაერთი გამარჯვება და პრიზი მოუპოვებია საჭიდაო სარბიელზე.

მეჯვრისხვეველი ფალავანი ძმების ნაქცივისთვის, მაგალითად, გოგლასთვის თეთრი ცხენი უწუქებიათ თავისი აღკაზმულობით.

თბილისის ცირკში ცნობილი რუსი მოჭიდავე ფილიპოვი რომ დაუჯაბნია, გახარებულ ორგანიზატორებს დაჯილდოებისას არჩევანის წინაშე დაუყენებიათ ლამისყანელი. გოგლას მორცხვად უთქვამს – სახლის სახურავის გამოცვლა მიწდაო.

მალე მისი სახლი ახალთახალი თუნუქის სახურავით გადაუხურავთ ლამისყანაში (კასპი).

გორის მავრის სოფელ მეჯვრისხვეველმა განთქმულმა ფალავანმა სოგრატ ტატიშვილმა, რომელსაც თავის დროზე დამარცხებულმა ჰყავდა ცნობილი დათა ავლაბრელი (გაფიშვილი), ძმები ლადო და მიხეილ კიტრიაშვილები, კოლა იარმუკელი და სხვები, ალაღად თქვა: – 1927 წელს, „სამეობას“, ბერშუეთში, გოგლა ლამისყანელმა უნაკლოდ დამამეტა საჭიდაო მოედანზეო.

„ჭიდაობენ გლდანელები, დიდმელები, ძეგველები, ძმები ლამისყანელები, წილკნელები, მცხეთელები, მეზურნეებს ღაბაბები და ლოყები დაბერვიათ, დაფდაფებენ დაფდაფები, გულში ცეცხლი დაუნთიათ“.

გაბრიელ ბარჯაძე

© ფეხბურთი

ასეც ვიხროდი

რომორც მოსალოდნელი იყო, 24 მაისს სტოკჰოლმში ევროპა ლიგის ფინალში ერთმანეთს „მანჩესტერი“ და „აიაქსი“ შეხვდებიან, მათ ბრძოლაში გამარჯვებული კი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

„მანჩესტერი“ – „სელტა“ 1:1

პირველი მატჩი 1:0

უკანასკნელ წამებზე გუიდეტის მასპინძელთა დასამარების რეალური შანსი შეექმნა, მაგრამ ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო დარჩენილმა ბურთს უნიათოდ მოუცაცუნა ფეხი. მანამდე რამდენიმე წუთით ადრე მინდვრის ცენტრში ატეხილ გუნდურ ჩხუბს სარბიელიდან საპასუხო გოლის ავტორ რანკოლიასა და „ნითელი ეშმაკუნების“ საყვარლის ბაილის გაძევება მოჰყვარა.

„ლიონი“ – „აიაქსი“ 3:1

პირველი მატჩი 1:4



მას შემდეგ, რაც დოლბერგმა სტუმრები დაანინაურა, ორმატჩიანი დუელის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. როგორც აღმოჩნდა, არც მთლად მასე ყოფილა საქმე – ფრანგებს სრულფასოვანი რევანშის აღებამდე მცირედი დააკლდათ. აღსანიშნავია, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ მინდორზე პირველად გამოსული ლაკაზეტი პარტნიორებს დუბლით დაუბრუნდა, თუმცა, უკანასკნელ წუთებზე შექმნილი სახიფათო მომენტის შედეგად დარტყმის შესრულებაში ხელი სველმა გრუნტმა შეუშალა – ჰოლანდიელთა საჯარიმოში შეჭრილს ფეხი დაუცდა...

გიორგი შოთაძე

„ქუჩაში, მტვრეში წაიძვრა გავიშვი...“

სიჩქარე, სიბოროტე, ზოლის გადაკვეთა ავარიების გამოწვევი ძირითადი მიზეზებია

საძარბაველოში სიჩქარის გადაჭარბება ავტოავარიების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს. ასევე დიდი პრობლემაა უწყვეტი ზოლის გადაკვეთა და საავტომობილო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვა.

ლობის შესახებ საუბრობენ არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროში, არამედ საგზაო დეპარტამენტშიც. „ავარიების ძირითადი მიზეზი არის გადაჭარბებული სიჩქარე და გასწრების წესების დარღვევა.“

შემთხვევების რაოდენობის მიხედვით, ევროპაში ლიდერი ქვეყანაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში საგზაო შემთხვევების შედეგად 581 პირი დაიღუპა და 9951 ადამიანი დაშავდა.



საავტომობილო სფეროს ექსპერტი დავით მესხიშვილიც ეთანხმება საერთო შეფასებას. მისი აზრით, ავტოავარიების გახშირების მთავარი მიზეზი ქალაქში გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობაა.

2016 წელს სიჩქარის გადაჭარბების 1434 შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც 102 ადამიანი დაიღუპა, 2025-მა კი, დაზიანება მიიღო. შარშან 200 000 ადამიანის ტრავმული ჯარიმა დაფიქსირდა სიჩქარის გადაჭარბების გამო.

„ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საშუალო სიჩქარეს წარმოადგენს 50 კმ/სთ-ში, საქართველოში კი 60 კმ/სთ-ში (კანონი 15 კმ/სთ-ში დამატების უფლებას გვაძლევს).“

პირველ რიგში მძღოლების მხრიდან უნდა იყოს დაცული ყველა შეზღუდვა, რომელიც ამ გზებზეა დაწესებული. ვთხოვ ახალგაზრდა მძღოლებს და ზოგადად ყველა მძღოლს, გაითვალისწინონ, რომ შესაძლოა, სულ მცირე გადაცდომის და საგზაო ნიშანზე მითითებული სიჩქარის უმნიშვნელო გადაჭარბების გამოც კი თვითმკვლელები ან მკვლელები გახდნენ.

ლოიალური გახდა იმ მძღოლების მიმართ, რომლებიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობენ. ეს კიდევ ყველაფერი არ არის – თუ ფული გაქვთ, შეგიძლიათ, მშვიდად გადააჭარბოთ სიჩქარეს, რადგან ჩამორთმეული მართვის მოწმობის აღდგენა ახლა სულ რაღაც 500 ლარი ჯდება.

ვაჟა დანელია

უფველ საკუთარ თავს!

ბარდვევა იმუნიტეზი

წლის ცივ დროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი იმუნური სისტემის ქონა, რომელიც შუა ზამთარში ხშირად „აურევს“ ხოლმე, რისი მიზეზი უდამტყა ქაიფი და ზოგჯერ შორ მანძილზე მგზავრობებიცაა.

მაინც, რა ასუსტებს ჩვენს იმუნურ სისტემას? ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, რომელთა შორის სპეციალისტები უპირველეს ყოვლისა ცხიმიანი საკვების სიჭარბესა და ძილის დეფიციტს, ასევე სტრესებს ასახელებენ.



საქმე ისაა, რომ ცხიმიანი საკვების შეზღუდვა იმუნიტეტის მუშაობაზე იმითომ აისახება, რომ მისი ყველა რგოლის ნორმალური მუშაობისათვის ცხიმების საკმარისი ოდენობაა საჭირო. ისინი უჯრედების მშენებლობაში მონაწილეობენ, რომლებიც ინფექციას ებრძვიან.

გარდა ამისა, ნებისმიერ დისბალანსს A, C, D და P ვიტამინების, ასევე მიკროელემენტების, ცინკისა და სელენის დეფიციტის გამოწვევა შეუძლია, რომლებსაც ინფექციებთან ბრძოლაში უჯრედები აქტიურად ხარჯავენ, რის გამოც ორგანიზმს ისინი დიდი ოდენობით სჭირდება.

გამოსავალი: დილაობით და ძილის წინ მიიღეთ ერთი კოვზი თაფლიანი შავი ან წლის ექსტრაქტი, ჩაის მაგივრად სვით ასკილის ნახარში.

ემოციურ მდგომარეობაზე მოქმედებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, იმუნიტეტზე აისახება.

გამოსავალი: ეცადეთ, საღამოს 8-9 საათის შემდეგ ტელეფონით არ ისაუბროთ, კომპიუტერთან არ იმუშაოთ და არ უცქიროთ ამაღლებულ ფილმებს, რაც ძილს დაგიფრთხობთ; გაისიერეთ, მიიღეთ ზღვის მარილიანი ან წიწვის ნაყენიანი თბილი აბაზანა, ანდა დალიეთ თაფლიანი სააფთიაგი გვირილის ნახარში; ტილოს პატარა ქისაში ჩაყარეთ და სასთუმალთან დაიკიდეთ ზილიკი, ფსმინი, ვარდისფერი ნემსინვერა, ცოტაოდენი სანელებლიანი მიხაკი.

ძლიერი სტრესი იმუნური უჯრედების აწყობილ მუშაობას არღვევს, ასევე დამლუპველად მოქმედებს მიკროფლორაზე. მაგალითად, ცნობილია, რომ ხანმოკლე ფრენების შემდეგაც კი, კოსმონავტებს ორგანიზმებში სრულიად გაუქრათ სასარგებლო მიკროორგანიზმები. ამასთან, გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იშვიათ ხანმოკლე სტრესებს იმუნიტეტის სტიმულირებაც კი შეუძლია, ხოლო ორი წლის განმავლობაში უწყვეტი სტრესი იმუნურ უჯრედთა ოდენობას სამჯერ ამცირებს.

გამოსავალი: დღის განმავლობაში მეტი უნდა იმოძრაოთ. ასევე სასარგებლოა ხანმოკლე გარბენები და დილის გამამხნეველი ვარჯიში; სამსახურის შემდეგ მოსადუნებლად აუცილებლად გამოიხატეთ თუნდაც მცირე დრო – თვალმოსუქული მოხერხებულად წამოიწიეთ და სადარდებელი გონებიდან ამოიგდეთ.

მომზადებული სუნდაქი

სსოვნა

დიმა ჯაიანი, ჯემალ უგულავა, შალვა მგალობლიშვილი იუნველებიან საქართველოს დამსახურებული არტისტის, ქეშმარიტი ქართველი კაცის

ნიკო ჯაფარიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1964 წლის კურსდამთავრებული მწუხარებით იუნველებიან თანაკურსელის, საყვარელი მეგობრისა და გამოჩენილი მომღერლის

ნიკო ჯაფარიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ოთარ, ვასილ და ირინა ტურაბელიძეები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს ზურაბ ანდრონიკაშვილს დედის

ქათიჰან

სუნდაქა-ანდრონიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

მამუკა ვაშაკიძე, გიორგი ლაშვი, მალხაზ დვალი სამძიმარს უცხადებენ ახლო მეგობარს ზურაბ ანდრონიკაშვილს დედის

ქათიჰან

სუნდაქა-ანდრონიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

უკრაინაში შეტაკებების დროს ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

უკრაინაში, დონეცკის ოლქში, სოფელ ახალი ლუგანსკის მახლობლად შეტაკებების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას „რუსთავი-2“ ავრცელებს.



არსებული ინფორმაციით, პრორუსმა სეპარატისტებმა ანტიტერორისტული ოპერაციის ზონაში ნაღმმტყორცნები გამოიყენეს, რა დროსაც ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

როგორც ირკვევა, გარდაცვლილი თადარიგის ოფიცრის ოჯახსთვის ჯერ არ უცნობებიათ, შესაბამისად, მისი ვინაობას არ სახელდება.

ლაქავეზული განსაკუთრებით ღირსი ოქროებით ნაკაოქიის შექანა-შენახვისთვის



შს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1966 წელს დაბადებული ნ.პ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას 24 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 12,595 გრ ჰეროინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით, ნ.პ.-ს სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

სურსათის პროდუქტი სააგენტო საბავშვო ბაღებს ამოწმებს

ინსპექტირებას ექვემდებარება ბაღების კვების ბლოკები, რათა შეინახონ სურსათის შენახვის პირობები, პროდუქტის ვადები და მომსახურე პერსონალის ჰიგიენა.



ექიკტირების წესისა და მიკვლევადობის გამო სააგენტომ უკვე 8 საბავშვო ბაღი დააჯარიმა.

ჯოლი და პიტის ერთმანეთს სვლავიან



ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტის ერთმანეთს სვლავიან... ამის შესახებ გამოცემა Hollywood Life იტყობინებს.

დიორმა კალიფორნიის რეპუბლიკის მონაწილეობა



დიორმა კალიფორნიის რეპუბლიკის მონაწილეობა... ვესტერნის ჟანრში გამართა ფრანგულმა მოდის სახლმა ჩვენება.

კალიფორნიის სანაპიროებთან ზვიგანები გამოჩნდნენ



15-მდე მტაცებელი მანგუსები ვერტმფრენიდან გადაიღეს. სანაპიროებსა და კაპიტანის მცხოვრებლებსა და ტურისტებს სანაპირო დაცვა ზღვაში ბანაობისა და სერფინგისგან დროებით თავის შეკავებას ურჩევს.

ყველაზე ძვირად ღირებული საყურადღებო



შენიშნული სოტის აუქციონზე ყველაზე ძვირად ღირებულ ბრილიანტის ორ საყურეს გამოიტანნენ. მათი ღირებულება 50-დან 80 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

ზურაბ გორგილაძისადმი მიძღვნილმა საღამომ ანულაბით ჩაიარა

თბილისში, რუსთაველის თეატრში, ბათუმელი პოეტის ზურაბ გორგილაძისადმი მიძღვნილმა „ბათუმურმა საღამომ“ ანულაბით ჩაიარა.



საღამოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში სტუმრად მყოფი პოლონეთის დელეგაცია, მწერლები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეები ესწრებოდნენ.

შუახვეუნი სანაპირო, სარითილა, სანაპირო და აბრკობენიის სანაპიროები

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 2018 წელს სამინისტრო შუახვეუნი სანაპირო და აბრკობენიის ცენტრს მოაწყო, რისთვისაც ბიუჯეტიდან 1 820 000 ლარი დაიხარჯება.

კაზინოები რა გინდოდა...

ონლაინ კაზინოებისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდა

სელის უფლებებ ონლაინ კაზინოებისთვის ახალი რეგულაციების ამოქმედებას გეგმავენ. შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებმა პაკეტის მიხედვით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოთამაშეთა სავალდებულო რეგისტრაცია იქნება.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA სულხან-საბას ძ. №3 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-13-34 599 36-00-35

გამომცემლობა: შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესი“ რკინიგზის ჩიხი №20

uaс (უაკ) 070.4 (479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772 233 385 001

ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთი, აუსილებლად წაიკითხე! 6060 ევგენიძე

Table with subscription information: უსსოპის პალატის კარგი, აივნი 13 მაისისთვის, დაბოვიკაპო, მოგონაპო: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge